ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

1 მარტიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
დონალდ ტრამპი
იფიქრე ჩემპიონივით
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




ოთხშაბათი, 2 მარტი, 2016 №51 (6977) ფასი: 50 თეთრი

# გოგი თოფაძე: „რესპუბლიკელები ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას აპირებენ“



გვ.2

## თინა ხიდაშელი: „ვისაც უნდა, იმან დამკითხოს“

## „საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტი მზადდება“



გვ.3

ზაალ კასრელიშვილი: „დასავლეთი სირიელი ლტოლვილების მიღებას გვაძალებს“

## თამაზ მეჭიაური: „საქართველოში ყველაზე მეტად უმრავლესობის უფლებები ირღვევა“



მუსლიმთა სამმართველო: „ქრისტიანებისა და მუსლიმების დაპირისპირება ხელოვნურად ხდება“ გვ.2

## რატომ აპირებენ ნაციონალები ჯაჭვის მოწყობას

გვ.3



მირიან მირიანაშვილი: „ჩვენ არ უნდა ვუყუროთ, როგორ მოაწყობს სააკაშვილი გადატრიალებებს ორ ქვეყანაში“



## კახა კუკავა: „შსს დამნაშავეებს მფარველობს“

„პეტრიაშვილზე თავდასხმის დამგეგმავებსა და შემსრულებლებს სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოთ“

გვ.5

ISSN 1987-9385



გვ.4

## ვახტანგ ძაბირაძე: „სანდრა რულოვსი კარგი მიგნებაა“

„სააკაშვილი გარემოცვის მოშორებას ცდილობს“

# გოგი თოფაძე: „რესპუბლიკელები ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას აპირებენ“

შორენა მარსაგიშვილი

**კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერები გაზაფხულს პოლიტსაბჭოს სხდომით უნდა შეხვედროდნენ, სადაც მათი მთავარი საკითხი – მრეწველებისა და რესპუბლიკელების დაპირისპირება უნდა განეხილათ.**

როგორც ამბობენ, კოალიციის შესაძლო დაშლაზეც უნდა ესაუბრათ. დეპუტატების ნაწილი მიიჩნევს, რომ კოალიციაში შემავალმა სუბიექტებმა არჩევნებში ცალ-ცალკე უნდა იყარონ კენჭი.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია პოლიტსაბჭოს სხდომის ჩაშლის ზუსტ მიზეზებს არ ასახელებს, მხოლოდ იმას ამბობს, რომ ის აუცილებლად გაიმართება და მნიშვნელოვანი საკითხებიც იქნება განხილული.

– პოლიტსაბჭოს სხდომა დაიგეგმება და მის ფორმატში სხვა საკითხებიც გადაწყდება, რომლებიც კოალიციური შეთანხმების ფორმატში რამდენიმე პრინციპულ საკითხს ეხება, – განუცხადა ჟურნალისტებს ეკა ბესელიამ.

მისივე ინფორმაციით, კოალიციის ლიდერები მრეწველებსა და რესპუბლიკელებს ინდივიდუალურ რეჟიმში შეხვდებიან, ალბათ, ცალ-ცალკე შეეცდებიან მათ დაშოშმინებას, რაც იოლი საქმე ნამდვილად არ იქნება. ეს გოგი თოფაძის ბოლო განცხადებიდანაც გამოჩნდა.



## რატომ ჩაიშალა პოლიტსაბჭოს სხდომა

მისი თქმით, მმართველი გუნდის მთავარი შეცდომა კოალიციაში რესპუბლიკური პარტიის არსებობაა.

– ყველაზე დიდი შეცდომა და დანაშაული არის ის, რომ კოალიციას მართავენ რესპუბლიკელები. მათი პრეტენზიები და ამბიციები კოალიციამ ვერ დააწყნარა. არიან ამბიციურები, სურთ, თავიანთი გაიტანონ ყველაფერში. მათ სურთ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება საქართველოში, რასაც, ბუნებრივია, ვეწინააღმდეგებით, – აცხადებს რეპორტიორთან საუბარში თოფაძე.

ის კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მრეწველებს ევროკავშირი არ სურთ. თოფაძე ამტკიცებს, რომ მას გეზი დასავლეთისკენ აქვს აღებული.

– ჩვენს ფრაქციას არასოდეს უთქვამს, რომ ევროკავშირი არ გვინდა. ჩვენი გეზი დასავლეთისკენაა. პოლიტიკური კულტურა, დემოკრატია – მათგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, მაგრამ ჩვენც უნდა დავაყენოთ ისეთი პირობები, რომლებიც ჩვენთვისაა მისაღები.

ევროპის ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა ერთსქესიანთა ქორწინებაზე. ჩვენ რატომ გვაძალებენ?! ევროკავშირში ჩვენი გაწევრიანება თავად ევროკავშირსაც უნდა. სიტუაცია შეიცვალა – აბრეშუმის გზა გაიხსნა, ჩინეთიდან ევროპამდე სარკინიგზო მაგისტრალი საქართველოზე გავიდა – ეს ყოველივე მათაც აინტერესებთ. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, დავიცვათ საქართველოსთვის მისაღები პოზიცია, – განაცხადა თოფაძემ.

## თინა ხიდაშელი: „ვისაც უნდა, იმან დამკითხოს“

მრეწველთა ლიდერი კარგ ხასიათზეა. მის მიერ ატეხილი ქარიშხლის შემდეგ პროკურატურამ საგარეჯოში ჩატარებული არჩევნების გამოძიება დაიწყო. გავრცელებული ინფორმაციით, საგამოძიებო უწყებაში დაკითხვაზე თინა ხიდაშელსა და მეორე რესპუბლიკელ მინისტრ გიგლა აგულაშვილს დაიბარებენ.

გამოძიების დაწყების გამო ძმებმა ბერძენიშვილებმა პროკურატურა ლამის ხალხის მტრად შერაცხეს, თავად ხიდაშელმა კი განაცხადა, მზად ვარ მივიდე და გამომძიებელს ვემუსაიფოო. ამასთან, ქვეყნის მთავარმა მეთოფემ დაამატა, რომ გამოძიებაზე მაგრად ეცინება.

– ვისაც უნდა, რომ გაიგოს – გაიგებს, ვისაც უნდა, რომ წაიკითხოს და წაკითხულის შინაარსი, პირველ კლასში რომ ასწავლიან, გამოიტანოს – გამოიტანს, ვისაც არ უნდა, მაინც ვერ გაიგებს. ასე რომ, ამ საუბარს აზრი აღარ აქვს. ვისაც უნდა, იმან დამკითხოს, სადაც უნდათ, იქ მივალ, რა დოკუმენტებიც უნდათ, იმ დოკუმენტებს მივიტან. ჩემთვის ეს იმდენად არასერიოზული საკითხია, რომ მზად ვარ ყველასთან ყველანაირი ტიპის ფორმატში საუბრისთვის, მაგრამ საჯაროდ ეს თემა დავამთავრე, – აცხადებს გოგი თოფაძის ვიზავი.

თავდაცვის მინისტრის განცხადებას ზურაბ ტყემალაძე გამოეხმაურა, რომელსაც ბერძენიშვილთაგან უმცროსი ძმა – დავითი აძალებდა, გინდა თუ არა, გოგი დაგმე ან უარყავიო.

ის ამბობს, რომ მინისტრს სიცილ-კისკისს ვერ აუკრძალავს და მზადაა, თავადაც გულიანად გადაიხარხაროს.

– თინა ხიდაშელს შეუძლია იცინოს, რამდენიც გაუხარდება, ისევე, როგორც მეც შემიძლია ვიცინო, რამდენიც გამიხარდება. დანარჩენი პროკურატურის საქმეა და მე ვერ ჩავერევი, – აღნიშნა ზურაბ ტყემალაძემ.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, პოლიტსაბჭოზე თოფაძე იმ დოკუმენტების მიტანასაც აპირებს, რითიც საგარეჯოში არჩევნების გაყალბება მტკიცდება.

* * *

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოალიციის ლიდერთა თავყრილობაზე „ქართული ოცნების“ შესაძლო დაშლაზეც იქნება საუბარი.

ეს ინფორმაცია პირველმა თამაზ მეჭიაურმა გააჟღერა. ის ბიძინა ივანიშვილის მეგობარია და ერმა ჩათვალა, რომ ეს მთავარი მეოცნების პოზიციაა.

ივანიშვილს ამ საკითხთან დაკავშირებით საჯაროდ კომენტარი არ გაუკეთებია.

დეპუტატს კი პოზიცია არ შეუცვლია. არც იმის თქმა შეუძლია, განხორციელდება თუ არა „მეჭიაურის გეგმა“. უბრალოდ, ამბობს, რომ სურვილები და პროგნოზები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა.

– დინამო რომ ბარსელონას ეთამაშებოდეს, რა თქმა უნდა, მე დინამოს მხარეს ვიქნებოდი, მაგრამ სულელი უნდა ვიყო, რომ ფსონი დინამოს სასარგებლოდ დავდო, – აღნიშნა მეჭიაურმა.

## დავით ნარმანია: „მერიას ხელფასის მატებასთან დაკავშირებით რესურსი არ აქვს“



დედაქალაქის მერია მეტროპოლიტენის მემანქანეთათვის ხელფასების გაზრდას არ გეგმავს.

შესაბამისი განცხადებით თბილისის მერი დავით ნარმანია მეტროპოლიტენის მემანქანეთა მოთხოვნების საპასუხოდ გამოვიდა.

– მერიას ხელფასის მატებასთან დაკავშირებით რესურსი არ აქვს, ვინაიდან წელს ჩვენ ადმინისტრაციული რესურსების მნიშვნელოვანი ოპტიმიზაცია გამოვაცხადეთ და ეს ეხება ყველა სამსახურს. შემცირებით არ შეგვიმცირებია, მაგრამ გაზრდის რესურსი წელს არ გვაქვს, – აცხადებს დავით ნარმანია.

შეგახსენებთ, რომ მეტროპოლიტენის მემანქანეებმა ხელფასების გაზრდის მოთხოვნით გამაფრთხილებელი აქცია გამართეს. იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნები არ შესრულდება, ისინი გაფიცვას აპირებენ.

**მედიანიუსი**

## ალექსი პეტრიაშვილი: „არ გეგონოთ, ციებ-ცხელება მაქვს! მალე მწყობრში ვიქნები“



საავადმყოფოში მყოფი ალექსი პეტრიაშვილი სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს, რომელსაც თან დართული აქვს ვიდეოკადრები კინოფილმიდან ,,ბაშიაჩუკი’’.

– არ გეგონოთ, ციებ-ცხელება მაქვს! მალე მწყობრში ვიქნები, მანამდე კი მომესმა ეს ბრძოლის ყიჟინა და რა გავაკეთო! საქართველო გაიმარჯვებს! უკვე გული მიგრძნობს, მეც იქვე ახლოში ვიქნები! – წერს ალექსი პეტრიაშვილი.

**ნიუსპრესი**

## თამაზ მეჭიაური: „საქართველოში ყველაზე მეტად უმრავლესობის უფლებები ირღვევა“

### მუსლიმთა სამმართველო: „ქრისტიანებისა და მუსლიმების დაპირისპირება ხელოვნურად ხდება“

შორენა მარსაგიშვილი

ადიგენის რაიონის სოფელ ადიგენში სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია. რელიგიურ ნიადაგზე მომხდარ დაპირისპირებას სასწრაფო წესით შეშფოთებული გამოეხმაურა აშშ-ის ელჩი. თავი სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმაც გამოხატა, რომელსაც სხვა შემთხვევებში რეაქცია საკმაოდ შენელებული აქვს.

ადიგენში მომხდარ დაპირისპირებაზე შსს-მ უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე. უწყებაში ამბობენ, რომ ამ ეტაპზე ინციდენტი ამოწურულია.

მომხდართან დაკავშირებით მუსლიმთა სამმართველომაც გაავრცელა განცხადება. მასში წერია, რომ მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის დაპირისპირების ინსპირირება ხელოვნურად ხდება.

– საუკუნეების განმავლობაში საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ადამიანები მშვიდობიანად, მეგობრულად და ერთმანეთის მიმართ შემწყნარებლურად თანაცხოვრობდნენ. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ხელოვნურად ხდება მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის დაპირისპირების ინსპირირება. ვფიქრობთ, რომ ადიგენში მომხდარი ფაქტიც ხელოვნურად არის ინსპირირებული, – აცხადებენ მუსლიმთა სამმართველოში.

ისინი კმაყოფილებას გამოხატავენ იმის გამო, რომ შსს-მ მომხდარზე გამოძიება დაიწყო. მუსლიმთა სამმართველო მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდებს.

განცხადებაში ინციდენტის მიზეზზეც არის საუბარი. სამმართველოს განმარტებით, მუსლიმური რელიგიის მიხედვით, მუსლიმი მიცვალებულის სხვა აღმსარებლობის სასაფლაოზე დაკრძალვა არ შეიძლება.

სოფელ ადიგენში მცხოვრებ მუსლიმებს არ აქვთ შესაბამისი ტერიტორია, სადაც შეძლებდნენ მიცვალებულის დასაფლავებას, ამიტომ მიცვალებული სხვა რაიონსა და სოფლებში გადაჰყავდათ.

მუსლიმთა სამმართველომ ადიგენის მუსლიმი მრევლის მოთხოვნის საფუძველზე არსებული სასაფლაოს გვერდით მიწის გამოყოფის თაობაზე მიმართა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, რელიგიის სააგენტოსთან არსებული ქონებრივი და ფინანსური საკითხების კომისიამ კი გასცა რეკომენდაცია მუსლიმებისათვის სასაფლაოს ტერიტორიის გამოყოფის თაობაზე.

ადიგენში მომხდარ ინციდენტს თამაზ მეჭიაური გამოეხმაურა. მისი თქმით, საქართველოში ყველაზე მეტად უმრავლესობის უფლებები იზღუდება.

**თამაზ მეჭიაური:**

– საქართველოში რომ ვუყურებ, ყველაზე მეტად უმრავლესობის უფლებები იზღუდება, ანუ უმრავლესობის – ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის ხალხის. შიშით ვერაფერი უთქვამს უმრავლესობას და ყველაფერს ფობიას ეძახიან.

იზღუდება მართლმადიდებლების უფლებებიც, იმიტომ, რომ მთელი რიგი მცირერიცხოვანი რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები რიგ შემთხვევებში ძალიან მკვეთრად აკრიტიკებენ მთავრობას, რასაც არასოდეს აკეთებს მართლმადიდებელი ეკლესია, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რაღაც პოზიციებს არ ეთანხმება. ასე რომ, გაცილებით მეტი უფლებებით სარგებლობენ უმცირესობები, ჩემი აზრით, ვიდრე უმრავლესობა. ხელოვნურად წარმოქმნილი კონფლიქტებია არარსებულ თემებზე.



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტი მზადდება“

## ზაალ კასრელიშვილი: „დასავლეთი სირიელი ლტოლვილების მიღებას გვაძალებს“

შორენა მარსაგიშვილი

**ვის ინტერესებშია საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება, ვისი ხელით აკეთებს რუსეთი თავის საქმეს, რას ითხოვს ჩვენგან დასავლეთი? –ამის შესახებ „ახალ თაობას" კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.**

**ზაალ კასრელიშვილი:**

– არაერთხელ მითქვამს, რომ გარკვეულ ძალებს საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების მოწყობა უნდათ. ამის მცდელობა რამდენჯერმე უკვე იყო, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდად დასრულდა, თუმცა მშვიდად ყოფნის ფუფუნება არა გვაქვს და ეს 1 მარტსაც გამოჩნდა.

ადიგენის რაიონის სოფელ ადიგენში მუსლიმთა თემმა სასაფლაოსთვის ადგილის გამოყოფა მოითხოვა. რელიგიის სააგენტოს 25 თებერვლის რეკომენდაციით, ადიგენის ადგილობრივმა თვითმმართველობამ მუსლიმთა სასაფლაოსთვის ადგილი უნდა გამოყოს. 29 თებერვალს, სოფელ ადიგენში ადგილობრივი მუსლიმი და ქრისტიანი თემი ჯერ სიტყვიერად დაუპირისპირდა ერთმანეთს, შემდეგ კი ფიზიკურად. დაშავებულია სამი ადამიანი. სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ სოფელში სამართალდამცავები შეიყვანეს.

იმედი მაქვს, ეს დაპირისპირებაც განიმუხტება, მაგრამ სამომავლოდ რა გველოდება, არავინ იცის.

***– ამ დაპირისპირებას ოპერატიულად გამოეხმაურა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი. თქვენი აზრით, რატომ არის ის ასეთი საკითხების მიმართ ზედმეტად მგრძნობიარე?***

– იან კელი გახლავთ უაღრესად გამოცდილი დიპლომატი. ის ცდილობს, რომ ყველა მსგავსი დაპირისპირება და გაუგებრობა საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში მოაქციოს.

***– ამ მიმართულებით ის ძალიან აქტიურია, მაგრამ არასდროს ამოუღია ხმა, როდესაც ჩვენი პატრიარქის ან მართლმადიდებლური ეკლესიის ლანძღვა მიდის. ამაზე რას იტყვით?***

– მე მის ნაცვლად ვერ გაგცემთ პასუხს. ჩვენი პატრიარქი გახლავთ მორალური ავტორიტეტი, მას ძალიან

### „პროდასავლური ძალები რუსეთის სპეცსამსახურების საქმეს აკეთებენ“

დიდ პატივს სცემენ როგორც მართლმადიდებლები, ასევე მუსლიმები. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, პატრიარქის და ეკლესიის წინააღმდეგ უფრო გაძლიერდება შეტევა. ყველასთვის ცნობილია, რომ მის ერთ სიტყვასაც კი შეუძლია არჩევნების შედეგზე გავლენის მოხდენა. ხალხი აირჩევს იმას, ვისაც პატრიარქი დაუჭერს მხარს. ილია II ასეთ პროცესებში არასდროს ერევა, მაგრამ გარკვეული ძალები ფრთხილობენ. არ უნდათ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მორალური ავტორიტეტები მოვიდნენ.

***– გარკვეულ ძალებში ვის გულისხმობთ?***

– ყველა ძალას, რომელიც საქართველოს ფარგლებს მიღმაა. საუბარია როგორც რუსულ, ასევე პროდასავლურ ძალებზე. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურია რუსეთი. მხედველობაში მარტო გაძლიერებული რუსული პროპაგანდა არა მაქვს. დღეს ბევრი ჩივის ამაზე, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ, რადგან ეს კანონის დარღვევა არ არის. ის მისთვის სასურველი ხედვების ექსპორტს ეწევა. შენ კეთილი ინებე და ალტერნატიული მოსაზრებები დაუპირისპირე, ან შენი იდეოლოგია შექმენი, რომელიც შენი მოსახლეობის და ქვეყნის ფარი იქნება.

ასეთი ფარი საქართველოში ყოველთვის იყო მართლმადიდებლობა. მას შემდეგ, რაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ქართულად აღევლინება წირვა-ლოცვა, ეს გახდა სახელმწიფო იდეოლოგია. სწორედ მან გადაარჩინა ქვეყანა. ის ძალები, ვისაც საქართველოზე გავლენის მოპოვება და მისი მართვა სურს, პირველ რიგში, მართლმადიდებლობას შეებრძოლებიან.

რაც უფრო მეტად ებრძვიან ეკლესიას, მით უფრო იზრდება ქვეყანაში ანტიისლამური განწყობა და მატულობს ნდობა რუსეთისადმი.

***– რუსეთის ავტორიტეტი რატომ უნდა გაიზარდოს ეკლესიის ლანძღვის პარალელურად, რუსეთმა არ გაგვიუქმა ავტოკეფალია, სხვა „სიკეთეებს“ რომ თავი დავანებოთ?***

– ეს ასეა, მაგრამ საქართველოს მოსახლეობას ეს აღარ ახსოვს. მათ ნაწილს ახლა მართლმადიდებელი რუსეთის იმედი აქვს. ზემოთ რუსული პროპაგანდა ვახსენეთ, სადაც მართლმადიდებლობის პროპაგანდა საერთოდ არ არის. ამის მიუხედავად, პრორუსული ძალები ამ ქვეყნის ერთმორწმუნეობით აპელირებენ.

***– რაკი ეკლესიის ლანძღვა რუსეთის ავტორიტეტს ზრდის, გამოდის, რომ ეს ყველაფერი რუსეთის ინტერესებში ყოფილა.***




– ქართული ეკლესიის ლანძღვა, ისლამური სახელმწიფოდან მომდინარე თემები და პლუს 250.000 ჩამოსასახლებელი ლტოლვილი სირიიდან იდეალურად მუშაობს რუსეთზე. იგივე შემიძლია ვთქვა დასავლური ქვეყნების მიერ გაკეთებულ განცხადებებზეც.

***– თქვენ ახსენეთ 250.000 ლტოლვილის ჩამოსახლება და რა ხდება ამ მიმართულებით?***

– ამაზე აქტიურად არის საუბარი. ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა კატეგორიულად გვთხოვონ, რომ ეს ლტოლვილები მივიღოთ.

***– საქართველო არის მზად მათ მისაღებად?***

– რა თქმა უნდა, არა. სირიელმა ლტოლვილებმა ევროპის განვითარებულ ქვეყნებში რა ამბებიც დაატრიალეს, კარგად ვნახეთ. აქედან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ვიღაცა რუსეთის მიმართ გამოიჩენს ჭარბ ნდობას.

***– რუსეთის მიმართ სიმპათიები რომ იზრდება, ამაში ამ ქვეყნის სპეცსამსახურები არაფერ შუაში არ არიან?***

– როგორ არ არიან. პროდასავლური ძალები რუსეთის სპეცსამსახურების საქმეს აკეთებენ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მათი მხრიდან ეკლესიის ლანძღვა ზრდის რუსეთის ავტორიტეტს. სამწუხაროდ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, კრემლის გავლენა აქ კიდევ უფრო გაიზრდება. გვახსოვდეს ისიც, რომ მოსკოვი მზადაა, ნებისმიერ მომენტში აქ ვითარება აურიოს. ეს საფრთხე მანამდე არ მოიხსნება, სანამ სირიაში რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი შავ ზღვაში არ გადაინაცვლებს.

***– ამის შემდეგ მოისვენებენ?***

– არც მერე მოისვენებენ. მას კავკასიაში დაკონსერვებული კონფლიქტები სჭირდება. პანკისის ხეობაზე კარგა ხანია თვალი დადგმული აქვთ, მაგრამ ვერაფრით ახერხებენ იქ პროვოკაციის მოწყობას. მიზნის მისაღწევად ახლა ალბათ უხილავ საფრთხეებს გამოიყენებენ.

***– უხილავ საფრთხეებში რას გულისხმობთ?***

– იტყვიან, რომ რუსეთს ისლამური სახელმწიფოს მხრიდან საფრთხე ემუქრება. საქართველოდან ამ მხრივ არაფერი ელოდება, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიაში და არა მარტო იქ, სერიოზულ ფრონტს მიიღებენ.

მოსკოვი მთელ სუნიტურ სამყაროსთან აღმოჩნდა დაპირისპირებული. რუსეთში კი ძირითადად სუნიტი მუსლიმები ცხოვრობენ. ზოგიერთი მათგანი დიდი ალბათობით დაკავშირებულია ისლამურ სახელმწიფოსთან. ამას კრემლი კარგად გამოიყენებს, ჩვენს სპეცსამსახურებს მძიმე

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# რატომ აპირებენ ნაციონალები ჯაჭვის მოწყობას

## მირიან მირიანაშვილი: „ჩვენ არ უნდა ვუყუროთ, როგორ მოაწყობს სააკაშვილი გადატრიალებებს ორ ქვეყანაში“

მარიამ მჭედლიშვილი

**ნაციონალების საპროტესტო აქციას, რომელიც რუსული სახელმწიფო კომპანია გაზპრომის წინააღმდეგ ამ დღეებში გაიმართება, ჯაჭვის სახე ექნება. ჯაჭვი მთავრობის კანცელარიიდან რუსეთის საელჩომდე უნდა გააბან. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელი და ყოფილი თავმჯდომარე მირიან მირიანაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განმარტავს, რატომ აირჩიეს ნაცმოძრაობის აქტივისტებმა პროტესტის ეს ფორმა და რაში მდგომარეობს აქციის ნამდვილი მიზანი.**

**მირიან მირიანაშვილი:**

– ნახევარი წელიწადია, რაც ნაცმოძრაობას საპროტესტო აქცია არ მოუწყვია. ბოლო დროს გაჩნდა ახალი თემა – გაზპრომთან საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავება. სააკაშვილის პარტიელებსაც საპროტესტოდ ახალი საბაბი მიეცათ. მათ თავიანთ არაფორმალურ ლიდერ სააკაშვილს შეუთვალეს, გაზპრომის საკითხის გასაპროტესტებლად 200 ათასი გვჭირდებაო. ამაზე უარი მიიღეს, თუმცა, აქციის მოწყობა არ გადაუფიქრებიათ. იმის გამო, რომ არსებული რესურსებით შთამბეჭდავ მიტინგს ვერ მოაწყობდნენ, მიზანშეწონილად ჩაითვალა ჯაჭვის გაბმა. იმისათვის, რომ ეს ჯაჭვი მოაწყონ, საკმარისია 2.500 კაცი. სწორედ ესაა ნაციონალების დღევანდელი რესურსი. ამ პროტესტის მთავარი მიზანია, ბიძინა ივანიშვილს დაუმტკიცონ საკუთარი ძალა და ბრძოლისუნარიანობა.

***– ხელისუფლების ნაბიჯები როგორ შეიძლება შეფასდეს გაზმომარაგების მიმართულებით?***

– ხელისუფლება ამ მხრივაც უსუსურობას, არაპროფესიონალიზმს იჩენს და დაფარულად მოქმედებს. ამდენი ხნის განმავლობაში გასაგებად ვერ აგვიხსნეს, რა მოლაპარაკებები მიდის გაზპრომთან და რა იგეგმება.

***– მოსალოდნელია თუ არა, რომ საპროტესტო ჯაჭვს სხვა პარტიებიც შეუერთდნენ?***

– არა. სააკაშვილი აფინანსებს და მართავს სატელიტ პარტიებს, მაგრამ მათი ქუჩაში გამოსვლა არა ახლა, არამედ შემოდგომაზე იგეგმება, როცა ნაცმოძრაობა საპარლამენტო შედეგებს გააპროტესტებს. სააკაშვილს უნდა, მსოფლიოს თავი დაამახსოვროს ახალი ვითომ რევოლუციებით საქართველოსა და უკრაინაში. სინამდვილეში, ეს იქნება გადატრიალებები. ჩვენ ოლიმპიური სიმშვიდით არ უნდა ვუყუროთ, როგორ მოაწყობს სააკაშვილი გადატრიალებებს ორ სახელმწიფოში.

***– ნაციონალური მოძრაობა არჩევნებისთვისაც ემზადება.***

– თუ ნაციონალურ მოძრაობას რეგისტრაცია არ შეუჩერდა, რისთვისაც მე, როგორც პარტიის ნამდვილი დამფუძნებელი, ვიბრძვი ჩემს მომხრეებთან ერთად, საარჩევნოდ ისევ ორი მთავარი სუბიექტის შემხედვარე ვიქნებით.

***– ანუ, „ქართული ოცნებისა“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემხედვარე?***

– დიახ. კონფიგურაცია შეიცვლება მხოლოდ მაშინ, თუ განზე გადგება ნაცმოძრაობა. სხვა ძალებს, თუნდაც, ამომრჩევლის ნაწილის მხარდაჭერის პირობებში, დიდი შანსები არ გააჩნიათ. ტყუილად გვიმტკიცებენ, 10 ან 12%-იანი ნაცმოძრაობა ჩამოწერილიაო. 2003 წელსაც არ ჰქონდათ ნაციონალებს რეიტინგი. პირიქით, თავიდან 5 თუ 6%-იანი მხარდაჭერა ჰქონდათ, მაგრამ არჩევნების შემდეგ შედეგების გაპროტესტებით მოახდინეს გადატრიალება. მაქვს ინფორმაცია, რომ პარტიის გამო ჩვენი დავის მიზეზით ნაცმოძრაობაში უკვე შეფუცხუნდნენ, თუმცა, საჯაროდ ამაზე კრინტს არ ძრავენ.

***– საზოგადოების უდიდესი ნაწილი საერთოდ ინერტულია და არჩევნებიც არ აინტერესებს.***

– საზოგადოება რომ პასიური გამხდარიყო, ამაზე სააკაშვილის ხელისუფლებამ განსაკუთრებულად იმუშავა. მევახშეები პირდაპირ გარიგებული იყვნენ სააკაშვილთან. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც 700 ოჯახს აქვს მითვისებული საბინაო ფონდის 20%. ადამიანების მორალურად გატეხვას, კრედიტების გარდა, ემსახურებოდა გადავსებული ციხეები და პრობაციონერთა არმია. ბევრი მათგანი, ვინც ვალის გამო ბინა დაკარგა, უცხოეთში გადაიხვეწა. არის დაზარალებულების კატეგორია, რომელსაც უფლება მისცეს, გაურკვეველი ვადით, ამა თუ იმ ფორმით დარჩეს სადავო ბინაში. სხვა კატეგორიაც არსებობს – არიან ოჯახები, რომლებსაც გამოსახლება



უახლოეს ხანში ემუქრებათ.

***– ეს საზოგადოების პასიური ნაწილია თუ საპროტესტოდ განწყობილი?***

– ვინც საკუთარ სახლში ამა თუ იმ ფორმით დარჩა, ის, ძირითადად, გაურკვევლობაშია და ისიც არ იცის, ვის მისცეს ხმა. ისინი, ვინც დღეს და ხვალ უნდა გამოასახლონ, ამ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ განეწყობიან.

ქვეყანაში უმძიმესი დემოგრაფიული სიტუაციაა. გასაგებია, რომ ხეების გადარგვა ან ერთსქესიანთა ქორწინებები აღელვებს საზოგადოების ნაწილს, მაგრამ თუ ოციოდე წელიწადში საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობა უმცირესობაში აღმოვჩნდებით, მაშინ რა მნიშვნელობა ექნება მცენარის ადგილსამყოფელს და ჩანაწერს კონსტიტუციაში?!

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ვახტანგ ძაბირაძე: „სანდრა რულოვსი კარგი მიგნებაა"

## „სააკაშვილი გარემოცვის მოშორებას ცდილობს"

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალების ურთიერთობაზე საუბრობს.**

**ვახტანგ ძაბირაძე:**

– ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები არ ადასტურებენ, მაგრამ არც უარყოფენ, რომ მათი საარჩევნო სიის პირველი ნომერი სანდრა რულოვსი იქნება, მაგრამ ამ ინფორმაციამ გამოჟონა.

***– სააკაშვილმა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში თქვა, რომ ნაციონალური მოძრაობა განახლებას საჭიროებს. სანდრა რულოვსის პირველ ნომრად დაყენება აქეთ გადადგმული ნაბიჯია?***

– შეიძლება, მაგრამ განახლება უკვე საკმაოდ დაგვიანებულია. ნაციონალური მოძრაობა განახლებას რომ საჭიროებს, ეს 2012 წელსვე იყო ცნობილი, უკიდურეს შემთხვევაში, სააკაშვილმა პრეზიდენტის პოსტი რომ დატოვა, იმ დღიდან უნდა დაწყებულიყო პარტიის განახლებაც, თუმცა ნაციონალურმა მოძრაობამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი გააკეთა, რომ ქართველ საზოგადოებას არ დავიწყებოდა ძველი ნაციონალური მოძრაობა. ახლა, როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ ამ გზით სიარული ნაკლებ შედეგს მოიტანს და ცდილობენ რაღაცის შეცვლას.

***– სიის პირველი ნომერი თუ მართლაც სანდრა რულოვსი გახდება, ეს რა მესიჯი იქნება?***



– საარჩევნო სიის პირველი ნომრის პრობლემა აქვს ყველა პოლიტიკურ ძალას, მით უფრო, როდესაც მათ ახალი სახეების მოზიდვის სერიოზული პრობლემა აქვთ. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ უდგას ნაციონალურ მოძრაობას. მათ ახლა გარედან ხალხის მოზიდვა, ფაქტობრივად, არ შეუძლიათ. მათ ირგვლივ, თავიანთ ორბიტაზე უნდა მოიძიონ ახალი სახეები. ასევე ამ ადამიანებს გარკვეული საზოგადოებრივი ცნობადობა უნდა ჰქონდეთ.

***– სანდრა რულოვსი კარგი მიგნებაა?***

– ასე გამოდის. სანდრა რულოვსი ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. ის ცნობადია, მისდამი მოსახლეობაში აგრესია ნაკლებია, შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალურ მოძრაობაში არსებული რესურსის მიხედვით კარგი კანდიდატია.

სიის პირველი ნომერი პარტიის ლიდერს ნიშნავს. თუ იმ ადამიანებიდან დასახელდებოდა პირველი ნომერი, რომლებსაც ყოველდღე ხედავს საზოგადოება, ეს გარკვეულ დაპირისპირებას გამოიწვევდა პარტიის შიგნით. ამის მაგალითად თბილისის მერის არჩევნებში ნიკა მელიასა და გიორგი ვაშაძის დაპირისპირებას მოვიყვანდი, შედეგი კი ის იყო, რომ ვაშაძე საერთოდ გაქრა პოლიტიკური ავანსცენიდან. ამ მხრივაც სანდრა რულოვსი ოპტიმალური ვარიანტია, მით უფრო, როდესაც მისი აღქმა, როგორც რეალური პოლიტიკური ფიგურისა, რთულია. მის უკან ყოველთვის აღიქმება და იდგება სააკაშვილი.

***– გამოდის, სააკაშვილი ვერ თმობს ნაციონალურ მოძრაობის ლიდერობას, ვერ წარმოუდგენია მის გარეშე ნაციონალური მოძრაობა, რადგან საუბარი იყო გიორგი ქადაგიძეზეც, რომ შეიძლება ის ყოფილიყო პირველი ნომერი.***

– როგორც ჩანს, ვერ თმობს და ვერც წარმოუდგენია, უფრო მეტიც, ის ფიქრობს, რომ გარემოცვის ბრალია, რომ ამ სამი წლის განმავლობაში ამომრჩევლის წინაშე სხვაგვარად ვერ წარდგა ნაციონალური მოძრაობა. გიორგი ქადაგიძის პირველ ნომრად დაყენება შეიძლება სახიფათოც კი აღმოჩნდეს სააკაშვილისთვის და ბუმერანგივით მოუბრუნდეს, ამიტომ სააკაშვილისთვის რულოვსი გამოსავალია.

თუ გახსოვთ, ნაციონალური მოძრაობის ლიდერების შეხვედრები იყო ხან თურქეთში, ხან აზერბაიჯანში, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ მოხდა გადაწყვეტილების მიღება და როგორც იყვნენ, ისევ ისე დარჩნენ. ისეთი პოლიტიკური ტიპაჟისთვის, როგორიც სააკაშვილია, უცხოა საკუთარ შეცდომებზე საუბარი, აღიარებაზე აღარაფერს ვამბობ. ასეთი ავტორიტარი პოლიტიკოსები ყოველთვის, ყველა დროსა და სივრცეში ფიქრობენ, რომ შეცდომა მათ კი არ დაუშვეს, არამედ გარემოცვამ. ასე ფიქრობს სააკაშვილიც, რომ ყველაფერი გარემოცვის ბრალია და არა პირადად მისი.

***– ამიტომ ის ცდილობს გარემოცვის მოშორებას?***

– ცხადია, მაგრამ ეს დიდი ხმაურის გარეშე უნდა. ის ეძებს განტევების ვაცს, განტევების ვაცი კი არის ის ძველი გარემოცვა, რომელიც შეიძლება გუნდს მიღმა დარჩეს.

***– თუ ასე განვითარდა მოვლენები, ეს რა შედეგს მოუტანს არჩევნებზე ნაციონალურ მოძრაობას?***

– აქ საქმე გაცილებით რთულად არის. ნაციონალური მოძრაობის მიმართ საზოგადოების განწყობა დიდად არ შეცვლილა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათ ვერ მოახერხეს თვითგანახლება, გაწმენდა. მათ ვერ შეძლეს საზოგადოებაში მათდამი არსებული აგრესიული დამოკიდებულების შეცვლა. ამიტომ, ვინ იქნება სიის პირველი ნომერი, ეს არ იქნება დიდად რამის განმსაზღვრელი. ამაზე არ იქნება შედეგები დამოკიდებული.

***– საპარლამენტო არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობა რა შედეგს მიიღებს, მეორე ადგილზე გავა?***

– ნაციონალური მოძრაობა ჩამოყალიბდა პარტიად, რომელსაც ჰყავს საკუთარი ამომრჩეველი. ეს ამომრჩეველი, ალბათ, 200 ათასის ფარგლებში მერყეობს, თუმცა ბევრი რამ დამოკიდებული იქნება დარჩენილ პერიოდზე, წინასაარჩევნო კამპანიაზე, რომელსაც პარტიები ჩაატარებენ.

არ ვიცით, რას იზამს „ქართული ოცნება", იქ როგორ განვითარდება მოვლენები. თუ რაღაც განსაკუთრებული მოხდა, ეს ყველაფერს თავდაყირა დააყენებს, მაგრამ მნიშვნელობა ასევე აქვს იმას, თუ რას იზამს დანარჩენი ოპოზიცია. თუ ის მოახერხებს გარკვეული სახის გაერთიანებას, თუ სრულ ერთობას ვერა, ორ ჯგუფად დაყოფას გარკვეული სწორი ტაქტიკისა და სტრატეგიის მიხედვით, ესეც გარკვეულ შედეგს მოიტანს და მაშინ ნაციონალურ მოძრაობას გაუჭირდება ასეთ კოალიციებთან კონკურენცია, მაგრამ, ოპოზიცია თუ იქნება ასეთი დაქსაქსული და ჭრელი, მაშინ ნაციონალები თავიანთ ხმებს დანაკარგის გარეშე მიიღებენ.

***– „ქართული ოცნება" რა შედეგს დადებს?***

– „ქართული ოცნება" ხანდახან კი მგონია, რომ ყველაფერს აკეთებს არჩევნების წასაგებად, მაგრამ არც ისინი იქნებიან გულხელდაკრეფილნი და არჩევნების მოსაგებად იბრძოლებენ. თუ საბედისწერო შეცდომებს არ დაუშვებენ, „ქართული ოცნება" ამ არჩევნებზე ფავორიტი პოლიტიკური ძალა იქნება.

# ნინო ბურჯანაძე: „ჩემი ღრმა რწმენით, ბიძინა ივანიშვილი რესპუბლიკელია"

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ სახელისუფლებო კოალიციაში მიმდინარე დაპირისპირებებთან დაკავშირებით ინგა გრიგოლიას ამბების ეთერში კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ მისთვის ნაკლებად საინტერესოა, ვინ რა ადგილს დაიკავებს კოალიციაში. მისი თქმით, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე კოალიცია სრული შემადგენლობით ჩამოშორდეს ხელისუფლებას.



**ნინო ბურჯანაძე:**

– დღეს მოდაში შემოვიდა, მათ შორის ოპოზიციურ ძალებშიც, რომ აკრიტიკებენ „რესპუბლიკურ პარტიას" და არ აკრიტიკებენ ბიძინა ივანიშვილს. ეს ხდებოდა ყოფილი პრემიერის დროსაც, როდესაც ღარიბაშვილი და ივანიშვილი იყვნენ კარგები, ხოლო რესპუბლიკელები – ცუდები და ეს ტენდენცია დღესაც ძალიან ნათლად შეინიშნება.

მისი თქმით, რესპუბლიკური პარტიის კოალიციაში ყოფნა არის არა თავად რესპუბლიკელების, არამედ ბიძინა ივანიშვილის დამსახურება.

– ყველაფერი, რასაც აკეთებენ რესპუბლიკელები, არის არა მათი ბრალი ან დამსახურება, არამედ ბიძინა ივანიშვილის ბრალი და დამსახურება, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, თავად არის ნამდვილი რესპუბლიკელი! თავისი არსით, მენტალიტეტითა და იმ გადაწყვეტილებით, რომ რესპუბლიკური პარტია თავის დროზე აერჩია კოალიციის საძირკვლად, მე მაძლევს საშუალებას განვაცხადო, რომ ბიძინა ივანიშვილი არის რესპუბლიკური პარტიის ფარული წევრი, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**ნიუსპრესი**

# სანდრო კვიტაშვილი: „ბოლო დროს სააკაშვილი რატომღაც ძალიან გულმავიწყი გახდა"



უკრაინული გამოცემა „РБК _ Україна" საქართველოს ყოფილ და უკრაინის მოქმედ ჯანდაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილთან ინტერვიუს აქვეყნებს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გთავაზობთ ამონარიდებს ინტერვიუდან:

– როგორი გრძნობა დაგეუფლათ მინისტრთა კაბინეტის გადადგომის მოთხოვნის ჩავარდნის შემდეგ?

– ნდობისა თუ უნდობლობის გამოცხადება – ეს ნორმალური მსოფლიო პრაქტიკაა, მაგრამ, როცა პარლამენტის სხდომას ვაკვირდებოდი, ძალიან გამაოგნა დეპუტატების დამოკიდებულებამ მთავრობის წევრებისადმი. ეს ჩემთვის კოშმარულ სიზმარს ჰგავდა. ასეთ შეურაცხყოფას არავინ იმსახურებს... მე მესმის, რომ დეპუტატებს უნდათ უკრაინელ ხალხს დაანახონ, აი, რა კარგად ვიცავთ თქვენს ინტერესებსო, მაგრამ, როცა მე „დაწყევლილსა" და სულელს" მიწოდებენ, უსინდისოდ მთვლიან, ეს უკვე გადაჭარბებულია. კრიტიკასაც აქვს თავისი საზღვრები, ეთიკა უნდა დავიცვათ... გულახდილად გეუბნებით, არ ვიცი, ამ ადამიანებთან მომავალში როგორ ვიმუშავებ...

ყველა დეპუტატს შეუძლია ჰქონდეს განსხვავებული დამოკიდებულება პრემიერ-მინისტრ არსენ იაცენიუკის მიმართ, მაგრამ ეს ხომ შენი ქვეყანაა, პარლამენტში ხომ დეპუტატი საკუთარ ხალხს წარმოადგენს. ასეთი ქცევა დაუშვებელია. იმ საღამოს მთავრობის ყველა წევრი შევიკრიბეთ, ყველანი შოკში ვიყავით... ასეთი შეურაცხყოფის გადატანას ვერავინ შეძლებს. ჩვენ ხომ ოჯახები გვყავს, ისინიც ხომ უყურებენ ამ ყველაფერს... ემოციებს თუ გვერდზე გადავდებთ, კოალიცია დაიშლება თუ არ დაიშლება (მასში ხუთი სუბიექტიდან ორი დარჩა), ვიტყვი, რომ უკრაინას მაინც ქმედითუნარიანი მთავრობა ჰყავს. რასაკვირველია, პარლამენტის მხარდაჭერის გარეშე ჩვენ მუშაობა გაგვიჭირდება, მაგრამ, რადგანაც მთავრობის წევრებს დეპუტატებზე უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვაკისრია, მუშაობას გავაგრძელებთ.

– ამას წინათ გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობა გააკრიტიკა....

– ბოლო დროს მიხეილ სააკაშვილი რატომღაც ძალიან გულმავიწყი გახდა. მას ვითომ აღარ ახსოვს, რამდენი წელია საქართველოში სავალუტო ფონდი მუშაობს. მას აღარ ახსოვს, რამდენი ფული მიიღო საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან საქართველომ, განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდეგ. რასაკვირველია, კრედიტების აღება სასიამოვნო არაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა კრედიტორი რაღაც პირობებს გიყენებს, მაგრამ რა უნდა ვქნათ, როცა ამჟამად უკრაინას, სავალუტო ფონდის გარდა, კრედიტებს სხვა არავინ აძლევს? ამიტომაც სავალუტო ფონდის მიმართ ნდობა არ უნდა დავკარგოთ, მით უმეტეს, სიტუაცია ქვეყანაში გაურკვეველია.

ჩემი აზრით, ყველა ჩვენმა ოპონენტმა, მთლიანად კოალიციამ ახალი კაბინეტის ახალი მინისტრის ყოველი კანდიდატურის მიმართ პერსონალური წინადადებები უნდა მოამზადოს. ეს იქნებოდა სწორი მიდგომა, თორემ გამოხვიდე პარლამენტში და ყველა ლანძღო – „ამას გავუშვებთ, იმას დავტოვებთ, ახალ მთავრობას შევქმნით" და ა.შ. ასე არ შეიძლება. სანამ დეპუტატები კანდიდატებზე არ შეთანხმდებიან, მთავრობა თავის საქმიანობას გააგრძელებს. ასე ხდება ევროპის ქვეყნებში.

**ნიუსპრესი**

# „საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტი მზადდება"

დასაწყისი მე-3 გვერდზე

სამუშაოების ჩატარება მოუწევთ.

***– საქართველოს სპეცსამსახურების მუშაობით ადრე კმაყოფილი იყავით, ახლაც ასეა?***

– უკმაყოფილო არა ვარ და ქვეყანაში აქამდე ცუდი რამეები რომ არ მომხდარა, ეს მათი დამსახურებაა. იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გააგრძელებენ. არჩევნების წინ ბევრი რამ შეიძლება მოხდეს.

***– მაგალითად, რა შეიძლება მოხდეს?***

– რუსეთი მის მიერ დაფინანსებულ ძალებს „სატოპკეებს" აუწევს. ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება გამორიცხულია. არაერთხელ მითქვამს, რომ ეს თემა სენსორული არ არის. ჩვენ გვგონია, რომ საქმე რელიგიურ დაპირისპირებამდე მივა. რუსეთის წყალობით, აქ სერიოზული ანტიისლამური ისტერია დაიწყება. მოსკოვში კარგად იციან, რომ ამით საქართველოს მოსახლეობის ნაწილი რუსეთისკენ შებრუნდება.

***– ეს ისტერია მივა რელიგიურ კონფლიქტამდე?***

– რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტი კარგა ხანია მზადდება და რაღაცას მაინც მოახერხებენ. მეზობელი ქვეყნიდან სხვადასხვა მესიჯებიც წამოვა, რომლებსაც პრორუსული ძალები გააჟღერებენ. ერთ-ერთი მათგანი იქნება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

***– ამ ყველაფრის შედეგად შემოდგომაზე შემთხვევით პრორუსულ ხელისუფლებას ხომ არ მივიღებთ?***

– ეს ხალხის გადასაწყვეტია. ფაქტი ისაა, რომ რუსეთის ავტორიტეტი გაიზარდა.

# გია ვოლსკი: „ქართული ოცნების" მოწინააღმდეგე თავად „ქართული ოცნებაა"



„ქართული ოცნების" მოწინააღმდეგე თავად „ქართული ოცნებაა". განცხადება ამის შესახებ უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ გააკეთა.

ის რესპუბლიკელებსა და მრეწველებს შორის არსებულ კონფლიქტს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მასზე პოლიტსაბჭოს სხდომაზე ისაუბრებენ, რომელიც, შესაძლოა, სასესიო კვირის შემდგომ გაიმართოს.

**გია ვოლსკი:**

– „ქართული ოცნების" მოწინააღმდეგე თავად „ქართული ოცნებაა". არის გარკვეული შეცდომები დაშვებული, არის ხედვების დაპირისპირება, რომლებიც არ უნდა იყოს და არ უნდა ახასიათებდეს კოალიციას. ზოგადად, კოალიციაში საქმიანობის სიძნელეც არის, არის ეკონომიკური თემაც. ვფიქრობ, ამან რეიტინგის შემცირება განაპირობა. ეს ყველა პარტიას ახასიათებს, როდესაც ხელისუფლებისთვის იბრძვის. ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში კი უამრავი პრობლემა იჩენს თავს.

**ნიუსპრესი**

# კახა კუკავა: „შსს დამნაშავეებს მფარველობს“

## „პეტრიაშვილზე თავდასხმის დამგეგმავებსა და შემსრულებლებს სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოთ“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა აფასებს.**

ოპოზიციონერი ყურადღებას კრიმინოგენური ფონის გამწვავებაზე ამახვილებს და აცხადებს, რომ ამ კუთხით ვითარება მძიმეა.

***– ბატონო კახა, რაში გამოიხატება ეს სიმძიმე?***

– ნელ-ნელა მძიმდებოდა ვითარება და უკვე მიაღწია იმ ნიშნულს, რომ პრაქტიკულად ყოველდღე ხდება მძიმე დანაშაული და გახსნის მაჩვენებელი არის ძალიან დაბალი.

***– პეტრიაშვილზე მომხდარი ფაქტის გამო საუბრობთ ვითარების დამძიმებაზე?***

– მე არამარტო პეტრიაშვილის ფაქტზე მაქვს საუბარი, არაერთი ფაქტი მოხდა. ბანკების დაყაჩაღების, ბენზინგასამართი სადგურის, სადაც მისი მეპატრონე მოკლეს. ეს ყველაფერი ხდება ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში და შსს პრაქტიკულად მფარველობს დამნაშავეებს.

***– მფარველობაში რას გულისხმობთ?***

– თავისი პასიურობით მფარველობს. თუ დამნაშავეს არ აქვს შეგრძნება, რომ მის მიერ ჩადენილ დანაშაულს მოჰყვება ძალიან მყისიერი და მკაცრი რეაგირება, ეს არის მთავარი მფარველობა ხელისუფლების მხრიდან. სწორედ პეტრიაშვილის ფაქტია ამის დადასტურება, როდესაც უმრავლესობის წარმომადგენლები წამახალისებელ განცხადებებს აკეთებენ კრიმინალის მიმართ.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, როდესაც ისინი ამბობენ, რომ ეს პირადი მოტივით ჩადენილი დანაშაულია, თითქოს პირადი მოტივი რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება იყოს და უფრო პოზიტიურად წარმოაჩენდეს ამ საკითხს, ვიდრე, თუკი ეს იქნებოდა პოლიტიკური მოტივი. ჩვენ ვერ ვხედავთ კონკრეტულ ბრალდებულებს, რომლებიც იქნებოდნენ უკვე დაპატიმრებული. ამ ტიპის დანაშაულების კვალიფიკაცია ყოველთვის ხდება მსუბუქი მუხლით.

***– რატომ? ეს რას ნიშნავს?***

– ეს ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს ან დაიჭერენ, ან არა, თუ დაიჭერენ, მიუსჯიან სამ წელს, ნახევარი წელი იჯდება და მერე გამოვა პირობითით. აი, ეს არის დანაშაულის მთავარი წახალისება. თუ მოხდება სწორი დაკვალიფიცირება და დაერქმევა ამას ბანდიტიზმი, რეკეტი, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული, სასჯელიც მძიმე იქნება.

***– მაინც როგორი?***

– იმათ, ვინც პეტრიაშვილზე თავდასხმა დაგეგმა და შეასრულა, სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოთ, რადგან ეს არის ორგანიზებული დანაშაული. მთელ მსოფლიოში ორგანიზებული დანაშაული ისჯება ბევრად მკაცრად, ვიდრე შემთხვევით, ექსცესის შედეგად მომხდარი დანაშაული. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ორგანიზებული დანაშაული სახელმწიფოსთვის არის ბევრად უფრო მეტი საფრთხე, ვიდრე ორმა ძმაკაცმა რესტორანში რომ იჩხუბოს.

***– აცხადებთ, რომ ნაწილობრივ ხდება დანაშაულის წახალისებაც. ეს რა პოლიტიკაა, ან რისი ბრალია?***

– ეს ამ ხელისუფლების უნიათობის ბრალიცაა. შს მინისტრი არაკვალიფიციურია, ის ამ სისტემაში მეხუთე ბორბალივითაა. აქ არის ის გარემოებაც, რომ ერთგვარი მხარდაჭერა შავი სამყაროსაგან ამ ხელისუფლებამ მიიღო, როგორც საპარლამენტო არჩევნების დროს, ისე შემდგომაც.

***– ეს რაში გამოიხატება?***

– ხდება ამ შავი სამყაროს რომანტიზაცია. ყველას უკანონო პატიმარი დაარქვეს, ძალიან ბევრი დაბრუნდა, ვინც მანამდე გაქცეული იყო ქვეყნიდან.

***– ანუ თქვენც ნაციონალების მოსაზრებას იზიარებთ, რომ ქურდულ სამყაროს მფარველობს „ოცნების“ ხელისუფლება?***

– ნაციონალური მოძრაობა არის მეორე უკიდურესობა, რომელიც ყველა თავის ოპონენტს აცხადებდა კრიმინალად და შავი სამყაროს წარმომადგენლად, რის გამოც მოხდა მარგინალიზაცია ამ პროპაგანდის.

მე არ ვამბობ, რომ პოლიტიკური ოპონენტები უნდა იქნენ შერაცხული შავი სამყაროს წარმომადგენლებად. თვითონ შავი სამყაროს მიმართ დაუნდობელი უნდა იყოს ბრძოლა და ამას პოლიტიკური კონტექსტი არ უნდა ჰქონდეს. ნაციონალური მოძრაობა ნამდვილად ქურდებს ებრძოდა, თუმცა, თუ სჭირდებოდათ, ისინი ქურდებთან თანამშრომლობდნენ.

***– ნაციონალები?***

– დიახ და უამრავი ფაქტის მოყვანაც შემიძლია. სწორედ ამიტომ იყო ის კამპანია არასრულყოფილი. არც დამსახურებას ვუკარგავთ. მათ კრიმინალი ნამდვილად შეამცირეს ქვეყანაში, მაგრამ ეს არ იყო თანმიმდევრული პროცესი. გვახსოვს გივი თარგამაძის ცნობილი მოლაპარაკებები ქურდებთან. იყო ამის ფაქტები, როდესაც ისინი კრიმინალს იყენებდნენ. განსაკუთრებით კი 2008 წლის საარჩევნო კამპანიაში.

***– ნაციონალების დროს არ იყო იმ დოზის კრიმინალი, როგორც ახლა?***

– რა თქმა უნდა. ეს, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, შიშველი ფაქტია, რომ მაშინ დანაშაულის კლება მოხდა და ერთ-ერთ მინიმუმზე დავიდა საქართველოს ისტორიაში.

***– რამდენად სახიფათო სიტუაციაა დღეს ამ კუთხით?***

– მძიმე ვითარებაა. ჯერ ერთი, რომ დანაშაული საგრძნობლად გაზრდილია და კიდევ უფრო საშიშია ტენდენცია, როდესაც ქვეყანაში ორგანიზებული და დანაშაულებრივი ჯგუფები იქმნება, რომლებიც შეკვეთილ დანაშაულებს ასრულებენ. ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ან აღიკვეთება, ან თუ არ აღიკვეთება, ერთ წელიწადში ჩვენ აქ გვექნება ის სიტუაცია, რომ მხედრიონი დაბრუნდება ქვეყანაში.

***– თუმცა ხელისუფლებისგან და მათი მხარდამჭერებისგან გვესმის შეფასებები, რომ სტატისტიკური მონაცემები არ მოწმობს იმას, რომ ქვეყანაში დანაშაულმა იმატა და რომ ოპონენტების მხრიდან ეს მხოლოდ პოპულიზმია.***

– ამჟამინდელ სტატისტიკას არ ვიცნობ, მაგრამ ვიცნობ სტატისტიკურ მეთოდოლოგიას. სტატისტიკა საქმეს ვერაფერს უშველის, იმიტომ, რომ საერთო სტატისტიკა შეიძლება იმგვარად იქნეს გამოყვანილი, რომ დანაშაულის კლება აღინიშნებოდეს. მთავარია, როგორ დაკვალიფიცირდება.

***– საქმეების გადაკვალიფიცირება ხდება?***

– როდესაც ეროსი კიწმარიშვილი მოკლეს, იმ კვარტალში შს სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ იმ პერიოდში მკვლელობა საერთოდ არ მომხდარა. იმიტომ, რომ ის დაკვალიფიცირებულ იქნა, როგორც თვითმკვლელობა. ასეთი მანიპულაციების შედეგად შეიძლება შეცვალო ციფრები, მაგრამ ის, რომ კრიმინალი გაზრდილია, ბარნოვზე და აბაშიძეზე რომ სროლები ისმის და ყოველდღე გვამი გააქვთ კაფე-ბარებიდან, ამას ვხედავთ და გინდ ასახონ სტატისტიკაში და გინდ არ ასახონ. ყველამ ვიცით, რომ ეს არის ბოლო ორი-სამი წლის დამახასიათებელი მოვლენა.

***– გვესმის შეფასებებიც, რომ ეს მართვადი პროცესია უმართავი პროცესების მისაღებად. ასეა?***

– მე არ ვფიქრობ, რომ ეს მართვადი პროცესი იყოს. უბრალოდ, ხელისუფლება როდესაც არის შემრიგებლური და მიაჩნია, რომ ეს არ არის პრიორიტეტული, კრიმინალის გაძლიერება ხდება ხოლმე ასეთ დროს.

როდესაც ბენზინგასამართ სადგურზე თავდამსხმელებიდან სამი დააკავეს, როდესაც ერთი მფლობელი მოკვდა, მეორე მძიმედაა დაჭრილი, არც ერთ მათგანს არ ედება ბრალად განზრახ მკვლელობა, ეს არის პირდაპირ წახალისება კრიმინალის! ეს არის ის, რომ პირდაპირ მოუწოდო კრიმინალს, მიდით, ითარეშეთ, ბიჭებო!



***– რა პოზიცია უნდა დაეჭირა სამართალდამცავ ორგანოებს?***

– ყველა მათგანს უნდა დაედოს ბრალად ბანდიტიზმი, მიესაჯოს სამუდამო პატიმრობა. სწორედ ეს იქნება მესიჯი კრიმინალებისთვის! თუ ხელისუფლება არ გამოფხიზლდა, ეს მიგვიყვანს უმართავ პროცესებამდე!

ყველა თანხმდება იმაზე, რომ დღეს ქვეყანაში ხელისუფლების დეფიციტი იგრძნობა. ხალხმა არ იცის, ვინ პირველი პირია და ვინ მეორე. შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები პრემიერ-მინისტრთან შეხებაში არ არიან, ისინი პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის ოჯახს ემორჩილებიან.

არანაირი მიღწევა არ აქვს ამ ხელისუფლებას. პირად საუბრებში თავადვე აღიარებენ, რომ მათი მთავარი მიღწევა არის ის, რომ ციხეებში პატიმრებს აღარ აუპატიურებენ! სხვა არანაირი პოზიტივი არ არის.

# მიხეილ მაჭავარიანსა და გოგლა ჟვანიას შორის შელაპარაკება მოხდა



პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე მიხეილ მაჭავარიანსა და გოგლა ჟვანიას შორის შელაპარაკება მოხდა.

მაჭავარიანმა კომიტეტს საკანონმდებლო პაკეტი წარუდგინა, რომელიც საგადასახადო და ფინანსურ-ეკონომიკურ ინიციატივებს ეხება.

– სიმართლე გითხრათ, კითხვის დასმას არ ვაპირებდი. თქვენს ინიციატივას მაინცდამაინც სერიოზულობით ვერ ვეკიდები. ზოგადი საუბარი, რომ ეს ყველაფერი გამოიწვევს ცხოვრებისეულ სიკეთეებს, ქვეყნის აყვავებას, ადამიანების ჯიბეების გასქელებას, იქნებ ეს ყველაფერი კონკრეტულ ციფრებში გადაიყვანოთ. რამდენი მოაკლდება ბიუჯეტს, თუკი ეს ცვლილებები ამოქმედდება?! რამდენად გაიზრდება ბიუჯეტის დეფიციტი და ამის გადაფარვას რითი აპირებთ?! ეკონომიკურ ეფექტს რამდენი ხნის მერე ელოდებით, რომ მთელი მსოფლიოს ბიზნესმენები მოგვაწყდებიან და აქ ბიზნესის კეთებას დაიწყებენ?! – მიმართა მაჭავარიანს გოგლა ჟვანიამ.

თავის მხრივ, მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ არ იცის, გოგლა ჟვანია სერიოზულად რას ეკიდება და რას – არა. „თუკი ასე გააგრძელებთ, ბიზნესმენები ნამდვილად არ მოგაწყდებიან. გათვლები წერია. ბიუჯეტი პირველ ეტაპზე 660 მილიონი ლარით უნდა შემცირდეს. თქვენი ანალიზი მაინტერესებს, როცა ასეთივე ცვლილებებს მთავრობა შემოიტანს, აქ, უბრალოდ, უფრო კვალიფიციურად წერია. შეიძლება ეს თქვენ არ გესმოდეთ, ეს მესმის, მაგრამ პრემიერს შეხვედრას ამიტომ ვთავაზობდით“, – მიმართა ჟვანიას მაჭავარიანმა და აღნიშნა, რომ მისგან მსგავსი ტიპის შენიშვნების მოსმენას არ აპირებს.

ჟვანიამ კითხვებზე პასუხის გაცემა მოითხოვა და განაცხადა, რომ მაჭავარიანს კონკრეტული პასუხი არ აქვს.

– ჩვენ არ ვსაუბრობთ იმაზე, მე რა მესმის. კონკრეტული პასუხი არ გაქვთ და პასუხს ვერ მცემთ. კონკრეტული კითხვა მაქვს და ზოგადი საუბრები არ მჭირდება, – მიმართა ჟვანიამ მაჭავარიანს.

მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ ის არ აპირებს ჟვანიასგან შენიშვნების მოსმენას.

– არ ვაპირებ, რომ ასეთი შენიშვნები თქვენგან მოვისმინო. თქვენი კვალიფიკაცია საქართველოს ეტყობა. მთავრობის კანონპროექტი ამბობს, რომ ამაზე ნაკლები გადასახადების შემცირება იქნება. გეუბნებით, რომ მთავრობის დათვლა არაკვალიფიციურია. თქვენმა კვალიფიციურმა ფინანსთა მინისტრმა დაადასტურა, რომ მთავრობა 400 მილიონის შემცირებაზე უკვე მუშაობს. ეს ხარჯები რა უნდა იყოს?! – ბიუროკრატიული ხარჯები, რომელიც, რაც თქვენ მოხვედით, გაიზარდა. 27 გადასახადი 5-მდე შევამცირეთ – ეს გამოცდილება გვაქვს და თქვენთან არაკვალიფიციურობაზე დებატებს ვერ დავიწყებ, – ასეთი იყო მაჭავარიანის პასუხი გოგლა ჟვანიას მიმართ.



ნაციონალური მოძრაობის მიერ ინიცირებული ცვლილებებით მოგების გადასახადი უქმდება, დივიდენდების გადასახადი 5%-დან 15%-მდე იზრდება და საშემოსავლო გადასახადი 20%-დან 17,5%-მდე მცირდება.

**ინტერპრესნიუსი**

## აფხაზეთში ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს ითხოვენ

ოკუპირებული აფხაზეთის მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფმა ე.წ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით განცხადება შეიტანა.

საინიციატივო ჯგუფი 46 ადამიანისგან შედგება. მათი სურვილია ვადამდელი ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით რეფერენდუმი გაიმართოს.

როგორც საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა დაურ ტანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რეფერენდუმის ჩატარებას შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება მოითხოვს.

– შექმნილი კრიტიკულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებიდან და რესპუბლიკაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ რეფერენდუმზე საკითხი უნდა გავიტანოთ: ფიქრობთ თუ არა, რომ საჭიროა პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების ჩატარება? – განაცხადა ტანიამ.




**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# მთავრობა ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმას წარადგენს



უახლოეს პერიოდში საქართველოს მთავრობა ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმას წარადგენს. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სასტუმრო „ინტერკონტინენტალში" განაცხადა, სადაც ახალი პროგრამის პრეზენტაცია გამართა.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– გეგმის მიხედვით, ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან გარღვევას ვგეგმავთ ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

ეს იქნება სრულიად ახალი გზები ქუთაისი-აბასთუმნის მიმართულებით, რა თქმა უნდა, ქუთაისი-სვანეთის მიმართულებით, ეს იქნება ახალი გზა, რომელიც დააკავშირებს გომსა და რაჭას, ეს იქნება ის ძირითადი მაგისტრალური გზები და ძალიან სწრაფი დასრულება მაგისტრალური სატრანზიტო ინფრასტრუქტურის, რომლის გარეშეც საქართველოს დაკავშირება რეგიონის ბიზნესებთან იქნება აბსოლუტურად წარმოუდგენელი.

მისივე თქმით, ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ახალი ლოგისტიკური კავშირების განვითარება ევროპასთან და თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების პოტენციალის სრულად ათვისება.

– ეს არის აბრეშუმის გზის ის პოტენციალი და დინამიზმი, რომელიც მოაქვს კავკასიაში და საქართველოს გავლით ევროპაში, – აღნიშნა პრემიერმა.

* * *

მთავრობა ახალ პროგრამას – „უმასპინძლე საქართველოში" – იწყებს. პროგრამის პრეზენტაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ გამართა.

პრემიერის განმარტებით, ახალი პროგრამა რეგიონებში სასტუმრო სექტორის განვითარებას შეუწყობს ხელს.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– დღევანდელი პროგრამა უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ეს პირდაპირ კავშირშია ტურიზმის განვითარებასთან. ჩვენ გვაქვს ვიზიტორების მზარდი რაოდენობა.

უკანასკნელ რამდენიმე თვეში განსაკუთრებით პოზიტიური დინამიკა შეინიშნება და ინფრასტრუქტურამ უნდა აუწყოს ფეხი ამ დინამიკას, რომელიც მართლაცდა ძალიან სასიხარულოა. ამ პროგრამის მიხედვით, რეგიონებში ბიზნესწრეების წარმომადგენლებს, ჩვენს მოსახლეობას ექნება საშუალება, ახალი სასტუმრო კომპლექსები დააფინანსონ სახელმწიფოსთან ერთად. სახელმწიფო მოახდენს ამ პროექტების თანადაფინანსებას.

მისივე თქმით, ეს იქნება როგორც ახალი სასტუმროები, ასევე არსებული სასტუმროების გაფართოებისა და გაუმჯობესების კომპონენტი.

პრემიერის განმარტებით, პროგრამის ფარგლებში მსურველები „ფრანჩაიზის" ხელშეკრულებას გააფორმებენ საერთაშორისო ბრენდებთან და სახელმწიფო ამ ხელშეკრულებების თანადაფინანსებასაც მოახდენს.

**ინტერპრესნიუსი**

# ბიძინა ივანიშვილის ქონება 400 მილიონი დოლარით შემცირდა



„ფორბსის" 2016 წლის მილიარდერთა რეიტინგში საქართველოს ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილის ქონება შემცირდა და, წინა წლის რეიტინგთან შედარებით, ივანიშვილი შვიდი პოზიციით დაქვეითდა.

2016 წლის რეიტინგის თანახმად, ბიძინა ივანიშვილი მსოფლიოს მილიარდერებს შორის 298-ე პოზიციაზეა 4,8 მილიარდი დოლარის ქონებით. გასული წლის რეიტინგში ბიძინა ივანიშვილი 291-ე ადგილს იკავებდა 5,2 მილიარდი დოლარით.

„ფორბსის" თანახმად, ბიძინა ივანიშვილი კვლავ რჩება საქართველოს პირველ მილიარდერად.

– 2015 წლის ივნისში ბიძინა ივანიშვილმა რეკორდულ თანხად – 1,5 მილიონ დოლარად შეიძინა ნიკო ფიროსმანის „არსენალის მთა ღამით", მოგვიანებით კი ნახატი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს გადასცა. მისი შვილის, ბერას თანადგომით საქართველოში ახალი სატელევიზიო შოუ „2030" დაიწყო, რომელშიც თავად ივანიშვილი ხშირად ჩნდება, – აღნიშნავს „ფორბსი".

საერთო ჯამში, „ფორბსის" მონაცემებით, მსოფლიოში მილიარდერთა რაოდენობა 1.826-დან 1.810-მდე შემცირდა და მათი ქონება მთლიანობაში 6,48 ტრილიონ დოლარს შეადგენს, რაც 570 მილიონი დოლარით ნაკლებია გასულ წელთან შედარებით.

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანი კვლავ ბილ გეიტსია, რომლის ქონებაც 75 მილიარდი დოლარია. პირველ ხუთეულში ასევე არიან ამანსიო ორტეგა – 67 მილიარდი დოლარი, უორენ ბაფეტი – 60,8 მილიარდი დოლარი, კარლოს სლიმი – 50 მილიარდი დოლარი და ჯეფ ბეზოსი – 45,2 მილიარდი დოლარი.

**ინტერპრესნიუსი**

# დიმიტრი ქუმსიშვილი: „ბიზნესმენები ბანკში აღებული სესხის პროცენტის თანადაფინანსებას მიიღებენ"



ვიცეპრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი მიიჩნევს, რომ პროგრამის – „აწარმოე საქართველოში" ახალი კომპონენტი – „უმასპინძლე საქართველოში" სასტუმროების ინდუსტრიის განვითარებას შეუწყობს ხელს.

აღნიშნული კომპონენტის პრეზენტაცია მშენებარე სასტუმრო „ინტერკონტინენტალში" გაიმართა. როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, აღნიშნული კომპონენტის დახმარებით იმ კომპანიებს, ბიზნესმენებს, რომლებსაც უნდათ სასტუმროების ბიზნესის განვითარება, შესაძლებლობა ექნებათ, რომ სახელმწიფოს მხრიდან კომერციულ ბანკში აღებული სესხის პროცენტის თანადაფინანსება მიიღონ პირველი ორი წლის განმავლობაში, ასევე თანაუზრუნველყოფა სესხის 50%-ის ოდენობით.

**დიმიტრი ქუმსიშვილი:**

– მინდა აღვნიშნო, რომ ეს კომპონენტი ეხება არა მხოლოდ ახალ სასტუმროებს, არამედ იმათაც, რომლებიც დღეს უკვე არსებობს, თუმცა უნდათ გაფართოება. შესაბამისად, ეს იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დღეს არსებულმა ბიზნესმოთამაშეებმა ასევე გააფართოონ და გაზარდონ თავიანთი ბიზნესი.

მისივე თქმით, პროექტის თანახმად, სახელმწიფო ხელს შეუწყობს ასევე საერთაშორისო ბრენდის შემოსვლასა და იმ ფრენჩაიზის გადასახადს, რომელიც საერთაშორისო ბრენდის შემოსვლას მოჰყვება ხოლმე პირველი ორი წლის განმავლობაში გარკვეული ლიმიტის ფარგლებში დაფინანსებით. როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა აღნიშნა, დღეს ტურიზმი 180.000-ზე მეტ სამუშაო ადგილს ქმნის.

– ეს არის მილიარდ რვაასი მილიონის შემოსავალი ჩვენი ქვეყნის საგადასახდელო ბალანსში. ჩვენი სტრატეგიის მიხედვით, იმისთვის, რომ ჩვენ ხუთ მილიარდ ხუთასი მილიონს მივაღწიოთ საგადასახდელო ბალანსში შემოსავალს და 330.000 ადამიანზე მეტი გვყავდეს დასაქმებული ტურიზმის დარგში, რა თქმა უნდა, ამისთვის ასეთი წამახალისებელი პროგრამები შეიქმნება და ხელი შეეწყობა ტურიზმის განვითარებას, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისივე თქმით, აღნიშნული კომპონენტი არ ვრცელდება ბათუმთან და ქუთაისთან მიმართებით.

– ერთადერთი ბათუმია, სადაც ჩვენ დიდი მოთხოვნა გვაქვს ტურიზმის განვითარების და, შესაბამისად, ამ მიმართულებით ჩვენ მიწოდებაც გვაქვს და მოთხოვნაც. იგივე სიტუაციაა თბილისში. რაც შეეხება ყველა დანარჩენ მიმართულებას, აქ პროექტი ჩვეულებრივად იმუშავებს, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# კახა კალაძე: „აზერბაიჯანთან შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეულია"



ვიცეპრემიერის, ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობების წამოღებასთან დაკავშირებით ძირითადი შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეულია.

როგორც ბაქოდან დაბრუნებულმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ვიზიტის ფარგლებში მას შეხვედრები ჰქონდა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან და „სოკარის" პრეზიდენტთან.

მისივე თქმით, არის იმის შესაძლებლობა, რომ შაჰდენიზის მილსადენიდან გაზის დამატებითი მოცულობები წამოვიღოთ.

– მქონდა შეხვედრა პრეზიდენტ ალიევთან, სადაც ვისაუბრეთ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებზე. ასევე, საუბარი იყო იმ საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტზე, როგორიცაა შაჰდენიზის პროექტი, რომლის განხორციელებაც მიმდინარეობს, ასევე, მქონდა შეხვედრა „სოკარის" პრეზიდენტთან, სადაც ვისაუბრეთ ჩვენს სამომავლო თანამშრომლობაზე, დამატებითი მოცულობების წამოღებაზე, რაც ნამდვილად დიდ აუცილებლობას წარმოადგენს ჩვენი შიდა მოხმარებისთვის. ფაქტობრივად, ძირითად შეთანხმებაზე მივედით და ამის შესაძლებლობა იქნება, რომ შაჰდენიზის მილსადენიდან წამოვიღოთ დამატებითი მოცულობები, – განაცხადა კალაძემ.

რაც შეეხება „გაზპრომს", კახა კალაძის თქმით, მოლაპარაკებები რამდენიმე დღეში დასრულდება.

– ამასთან დაკავშირებითაც ჩვენ, ალბათ, რამდენიმე დღეში დავასრულებთ მოლაპარაკებებს და მივიღებთ იმ შედეგს, რაც სჭირდება ჩვენს დარგსა და ჩვენს ქვეყანას, – განაცხადა კალაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" მეტროპოლიტენის თანამშრომელთა მიმართვას განიხილავს




შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" მეტროპოლიტენის ელექტრომატარებელთა მემანქანეებისა და მეტროპოლიტენში დასაქმებულთა, ასევე დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის „ერთობა 2013"-ის მიმართვას მერიის შესაბამის სტრუქტურებთან კოორდინაციაში განიხილავს. ამის შესახებ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" განცხადებას ავრცელებს.

– შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" მეტროპოლიტენის ელ. მატარებელთა მემანქანეებისა და მეტროპოლიტენში დასაქმებულთა ნაწილის მიერ გუშინ გამართულ აქციასა და სატრანსპორტო კომპანიის წინაშე გაჟღერებულ მოთხოვნებს ეხმაურება.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" 2016 წლის 1-ლ მარტს გარკვეული მოთხოვნებით მიმართეს მეტროპოლიტენის ელ. მატარებელთა მემანქანეებმა და მეტროპოლიტენში დასაქმებულთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის „ერთობა 2013"-ის წევრებმა. შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" თანამშრომელთა მოთხოვნები, ძირითადად, შრომის ანაზღაურების მატებას შეეხებოდა, რაც მათ მიერ გუშინ გამართულ აქციაზეც იქნა გაჟღერებული.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ კომპანიისთვის მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომელი და აფასებს წლების განმავლობაში მათ მიერ გაწეულ შრომას, როგორც „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის", ასევე, დედაქალაქისა და მისი მცხოვრებლების წინაშე, გამომდინარე იქიდან, რომ მეტროს გამართულ მუშაობას ქალაქისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" განიხილავს მეტროპოლიტენის ელ. მატარებელთა მემანქანეებისა და მეტროპოლიტენში დასაქმებულთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის „ერთობა 2013"-ის მიმართვას მერიის შესაბამის სტრუქტურებთან კოორდინაციაში და მიმართვის ავტორებს გონივრულ ვადაში აცნობებს კომპანიის პოზიციას თანამშრომელთა მოთხოვნებთან დაკავშირებით.

ამასთან, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია", ითვალისწინებს რა დასაქმებულთა პროფესიონალიზმს, მრავალწლიან თანამშრომლობასა და საკუთარი საქმის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობას, იმედს გამოთქვამს, რომ შრომითი ურთიერთობა გაგრძელდება ჩვეულ რეჟიმში და არ შეფერხდება თბილისის მეტროს მუშაობა, – აღნიშნულია განცხადებაში.

თბილისის სატრანსპორტო კომპანია მეტროპოლიტენის თანამშრომლების ნაწილმა გუშინ პირობების გაუმჯობესების მიზნით აქცია მოაწყო. მეტროპოლიტენ „დიდუბის" სადგურთან თანამშრომელთა ნაწილი შეიკრიბა. აქციის მონაწილეების თქმით, ინფლაციის შედეგად მათი ხელფასი წინა წლებთან შედარებით დაბალი მსყიდველუნარიანობისაა. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, კანონის შესაბამისად, ისინი 21 დღეს დაელოდებიან, რის შემდეგაც, თუ ხელისუფლება მათ წერილებზე რეაგირებას არ მოახდენს, უვადო გაფიცვებს დაიწყებენ. მათივე თქმით, გუშინდელი საგაფიცვო მოქმედებების დაწყების მიუხედავად, მეტროპოლიტენი შეუფერხებლად მუშაობს.

**ინტერპრესნიუსი**

# ზუგდიდში მოვაჭრეებმა ბაზრის შესასვლელი გადაკეტეს




გუშინ, 1 მარტს, ზუგდიდში, ბაზრის შესასვლელში მოვაჭრეების აქცია გაიმართა. მოვაჭრეებმა ბაზრის შესასვლელი გადაკეტეს და მერიის ის გადაწყვეტილება გააპროტესტეს, რომლის თანახმადაც, დახლები იჯარით გასხვისდა.

აქციის მონაწილეები ადგილობრივი ხელისუფლების მაღალჩინოსნების ბიზნესინტერესებზე საუბრობენ და ტენდერის გაუქმებას ითხოვენ.

აქციაზე რამდენიმე მოვაჭრე შეუძლოდ გახდა და ისინი ტერიტორიიდან სამართალდამცავებმა გაიყვანეს.

**ინტერპრესნიუსი**

# ზაქარია ქუცნაშვილი: „ვინც პოლიტიკაში ერკვევა, იცის, რას ნიშნავს „ბებერი პოლიტიკური ნიანგი“

**მრეწველებსა და რესპუბლიკელებს შორის დაპირისპირება ახალ ეტაპზე გადავიდა. ერთი მხრივ, მრეწველ გოგი თოფაძის განცხადებების გამო პროკურატურამ გამოძიება დაიწყო, მეორე მხრივ, რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ რესპუბლიკელებზე შეტევით, ფაქტობრივად, ჯარს უტევენ. არის თუ არა რესპუბლიკელებთან და რესპუბლიკელ თინა ხიდაშელთან დაპირისპირება ქართულ ჯართან დაპირისპირება? რა პოლიტიკური შედეგი შეიძლება მოჰყვეს საგარეჯოს არჩევნების თაობაზე გამოძიების დასკვნას, თუ დადგინდება, რომ არჩევნებში იყო დარღვევები, რომელსაც შეეძლო საბოლოო შედეგზე გავლენა მოეხდინა? — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს, პარლამენტის წევრ ზაქარია ქუცნაშვილს ვესაუბრეთ.**



გულიკო ბალაძე

***— ბატონო ზაქარია, თვეზე მეტია აურზაური და დაპირისპირებაა საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით მმართველი კოალიციის შიგნით მრეწველებსა და რესპუბლიკელებს შორის. თქვენ თუ გაქვთ კითხვები საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით თოფაძის ან რესპუბლიკელების მიმართ?***

— მე არ ვარ არცერთი მხარის წარმომადგენელი, არც ბრალდებისა და არც — მოპასუხის. რატომ უნდა მქონდეს შეკითხვები თოფაძესთან ან რესპუბლიკელებთან? კითხვები არ მაქვს. კითხვები მხარეებმა დაუსვეს ერთმანეთს. საზოგადოებამ საკმაოდ ბევრი კითხვა მოისმინა. ახალი შეკითხვების დამატება საჭირო არ არის.

***— ამას იმიტომ გეკითხებით, თავდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ რესპუბლიკელების წინააღმდეგ ბრძოლით ქართულ ჯარზე შეტევა ხდება. თინა ხიდაშელის წინააღმდეგ კომპრომატული განცხადებების გაკეთება ჯარზე შეტევაა?***

— მე ჯარის საწინააღმდეგო განცხადება არ მომისმენია.

***— პრემიერმა კოალიციის დაპირისპირებულ წევრებს პოლიტკორექტულობისაკენ მოუწოდა. რას ნიშნავს თქვენი პარტიისთვის პარტიული პოლიტკორექტულობა?***

— პოლიტკორექტულობა ნიშნავს ყველასთვის ერთისა და იმავე თამაშის წესების დაცვას. თუ ბრალდებები არის, უმჯობესია ითქვას უშუალო ურთიერთობებისას. თუ უშუალო ურთიერთობებში არ გაირკვევა მტყუან-მართალი, მხარეს ექნება უფლება, თავისი აზრი თუ ეჭვი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოიტანოს. პოლიტკორექტულობა ასევე მოიცავს კამათისა თუ პოლემიკის დროს კორექტულ ველში დარჩენას, კამათისა და შეურაცხყოფისაგან თავის შეკავებას, როცა კამათისა და პოლემიკის მიუხედავად, ადამიანები რჩებიან კორექტულობის ველში.

***— მრეწველებსა და რესპუბლიკელებს შორის ურთიერთობა უკვე პოლიტკორექტულობის ჩარჩოებიდან გასული არ არის, რადგან პრემიერმა უკვე მოუწოდა მხარეებს?***

— იყოს გასული, კორექტულობის ჩარჩოებში დაბრუნებას წინ არაფერი უდგას. ქართველები ემოციური ხალხი ვართ, აზრის გამოხატვისას მწარე შეფასებები გვიყვარს. კორექტულობის რეჟიმიდან გასვლა არ ნიშნავს იმას, რომ კორექტულობის ფარგლებში დაბრუნების შანსი აღარ აქვს.

***— როცა პროკურატურაში საქმეა აღძრული და გამოძიება დოკუმენტების მოძიების პროცესშია, პოლიტკორექტულობა რაღა შუაშია? საქმემ მწვავე ხასიათი არ მიიღო და პრობლემა არ არის?***

— გამოძიების დროსაც არსებობს ეთიკური და კორექტული საზღვრები. გამომძიებელმა რომ აგინოს დაკითხვის ქვეშ მყოფ ადამიანს ან მოწმემ შეურაცხყოს გამომძიებელი, კორექტული იქნება?

***— გასაგებია, ახლა მივხვდი, პოლიტკორექტულობა რას ნიშნავს, მაგრამ თვითონ ამ დაპირისპირებამ და თოფაძის განცხადებებმა, რომ საგარეჯოში არჩევნები გაყალბდა, „ქართულ ოცნებას“ არ ავნო? ხომ არ ჯობდა, „ქართულ ოცნებას ამ არჩევნებში საერთოდ არ მიეღო მონაწილეობა და ასპარეზი ოპოზიციისთვის დაეთმო?***

— ამ არჩევნების დროს საარჩევნო შტაბში არ მიმუშავია. როცა კოალიციამ მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო, ალბათ, ჰქონდა დასაბუთება.

***— რესპუბლიკურ პარტიას რად უღირდა საგარეჯოს არჩევნებში მონაწილეობა და თამარ ხიდაშელის გადეპუტატება? ამ არჩევნებში მონაწილეობამ რესპუბლიკელებს ზიანი არ მიაყენა?***

— რესპუბლიკელებს, ალბათ, უღირდათ საგარეჯოს არჩევნებში მონაწილეობა და გამარჯვება, იქიდან გამომდინარე, რომ შეიძლება საგარეჯოს, როგორც რესპუბლიკელი ამომრჩევლის დათმობა, არ ეწადათ. ალბათ, ამით იყო ნაკარნახევი მათი არჩევნებში მონაწილეობა. რადგან თინა ხიდაშელმა გაიმარჯვა საგარეჯოს ურთულეს არჩევნებში 2012 წელს, არ უნდოდათ თავიანთი ამომრჩევლის მიტოვება.

***— თუ პროკურატურა გამოიძიებს და დაადგენს, რომ არჩევნებში რაღაც დარღვევები იყო, რასაც შეეძლო შედეგზე გავლენა მოეხდინა, როგორ იმოქმედებს ეს კოალიციის ერთიანობაზე?***

— ნორმალურად. ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის. მხარეები მიხვდნენ ამ რეჟიმში ურთიერთობის გაგრძელების მნიშვნელობას. ამიტომ მათ მორატორიუმი გამოაცხადეს.

***— თქვენ ამ პროცესს ძალიან რბილად აფასებთ. არის ხალხი, რომელიც ძალიან მკაცრია. საზოგადოებაც ძალიან მტკივნეულად აღიქვამს შიდა დაპირისპირების პროცესს. მოგეხსენებათ, უახლეს ისტორიაში მმართველი პოლიტიკური ძალა იხლიჩებოდა და დაპირისპირებაც ძალიან მწვავე ფაზაში გადადიოდა.***

— მინდა დაგამშვიდოთ, კოალიციიდან წასვლა არავის სურს, არავინ იკლავს თავს, კოალიციიდან გამიშვითო.

***— რატომ არ სურთ კოალიციიდან წასვლა?***

— ეს მათ უნდა ჰკითხოთ.

***— კოალიციიდან წასვლა არ უნდათ, მაგრამ ერთმანეთის გაგდება ხომ უნდათ? რესპუბლიკელებს სურთ, მრეწველები წავიდნენ კოალიციიდან, მრეწველებს უნდათ, რესპუბლიკელები წავიდნენ.***

— ეს შეკითხვაც მრეწველებისა და რესპუბლიკელების მისამართით უნდა დასვათ.

***— როგორ ფიქრობთ, როგორ დასრულდება მათი დაპირისპირება და საგარეჯოს არჩევნების გამოძიება?***

— მე მივესალმე პროკურატურის რეაქციას. პარლამენტის ერთ-ერთი ფრაქციის თავმჯდომარის განცხადება რეაგირების გარეშე არ შეიძლებოდა დარჩენილიყო. სწორია თუ არა მისი განცხადებები, ამას გამოძიება დაადგენს. საგარეჯოს არჩევნებში დარღვევებს ადგილი რომ არ ჰქონია, ეს სასამართლომ დაადგინა. პროკურატურა კი დაადგენს, დანაშაულის ნიშნები არის თუ არა. გამოძიებას თვალი მივადევნოთ, ვნახოთ, არსებობს თუ არა დანაშაულის ნიშნები, თეორიულად. შესაბამისად, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

***— თქვენ ძალიან გამოცდილი ბრძანდებით საარჩევნო მანიპულაციების გამოცნობაში.***

— მანიპულაციებში — არა, საარჩევნო ტექნოლოგიებში.

***— მანიპულაციების გამოცნობას ვგულისხმობ. თქვენი დაკვირვებით, საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით კითხვები არ არის?***

— საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით გამოძიებას გადასამოწმებელი აქვს ერთი გარემოება — მუხროვანის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცები და ოფიცრები რომელი რიცხვიდან არიან მიმაგრებული. თუ აღმოჩნდება, რომ ჯარისკაცები და ოფიცრები მუხროვანის სამხედრო ბაზაზე მიმაგრებული არიან არჩევნების დანიშვნის შემდეგ, რა თქმა უნდა, ეს ეჭვს წარმოშობს. თუ გაირკვევა, რომ ჯარისკაცები მუხროვანის სამხედრო ბაზაზე მიმაგრებული იქნენ არჩევნების დანიშვნამდე რამდენიმე თვით ადრე, მაშინ არანაირ დანაშაულის ნიშნებზე საუბარი არ იქნება.

***— არის ინფორმაცია, რომ პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროდან დოკუმენტები გაიტანა. ალბათ, დადგინდება, როდის მიამაგრეს ჯარისკაცები მუხროვანის სამხედრო ბაზაზე.***

— თუ აღმოჩნდება, რომ ჯარისკაცები სამხედრო ბაზაზე არჩევნების დანიშვნის შემდეგ მიამაგრეს, ეჭვი გაღრმავდება, თუ მანამდე, მაშინ ჩათვალეთ, რომ არანაირ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია.

***— თუკი პროკურატურის გამოძიებით დადგინდება, რომ არჩევნებში იყო დარღვევები, რომელმაც გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე, ახალი საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე გავლენას თუ მოახდენს?***

— ეროვნულ დონეზე ნაკლებად მოახდენს გავლენას, საგარეჯოს დონეზე კი — არა. საგარეჯოში მომავალი არჩევნებისთვის ექნება პირდაპირი და სასიცოცხლო გავლენა.

***— ანუ თქვენ მომავალ არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ეჭვქვეშ არ აყენებთ?***

— „ქართული ოცნების“ გამარჯვების ეჭვქვეშ დაყენება სწორი არ იქნება, რადგან ბევრი რამ გვაქვს ამომრჩევლისთვის სათქმელი, რაც სამი წლის განმავლობაში გაკეთდა.

დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილს „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს წევრ არმაზ ახვლედიანის განცხადებებზეც ვკითხე.

***— არმაზ ახვლედიანის განცხადებები თუ ჯდება პოლიტკორექტულობის ჩარჩოებში?***

— ჯერჯერობით არმაზს არ უხმარია რაიმე ისეთი ტერმინი ან ცნება, რომელიც შეურაცხმყოფელი იქნებოდა. ერთადერთი, რა ფრაზაც იხმარა არმაზმა, არის „ბებერი პოლიტიკური ნიანგები“, თუმცა ეს გამოთქმა პოლიტიკაში მიღებულია. შესაბამისად, ვინც პოლიტიკის კანონებში ერკვევა, იცის, რას ნიშნავს „ბებერი პოლიტიკური ნიანგი“.

***— რამდენად შეესაბამება ახვლედიანის განცხადებები სინამდვილეს?***

— მე აღარ ვარ 2013 წლიდან პარტიის პოლიტსაბჭოს წევრი. ამიტომაც პარტიის პოლიტსაბჭოსა და მმართველ გუნდში რა პროცესი მიმდინარეობს, მან ჩემზე კარგად უნდა იცოდეს. ის ხალხი, რომელსაც ახვლედიანი აკრიტიკებს, მასთან ერთად იქნა არჩეული 2013 წელს „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოში. ჩვენ გამოგვიყვანეს, ისინი შეიყვანეს. აქედან გამომდინარე, მათ უკეთესად იციან, რა ხდება პოლიტსაბჭოსა და პარტიის მმართველ გუნდში, ვიდრე პარტიის რიგითმა წევრებმა.

***— ახვლედიანის „დამსახურება“ ხომ არ იყო თქვენი პარტიის პოლიტსაბჭოდან გამოყვანა?***

— არა, არმაზი არაფერ შუაშია.

# თავისუფალი დემოკრატები შს მინისტრს შეხვდნენ



პარტია თავისუფალი დემოკრატების წევრები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილს შეხვდნენ. შეხვედრა ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა ალექსი პეტრიაშვილის დაჭრის საქმეზე ინფორმაცია პირადად გიორგი მღებრიშვილისგან მიიღეს.

მათი თქმით, მინისტრმა მათ პირობა მისცა, რომ დამნაშავეები დაუსჯელნი არ დარჩებიან.

— მინისტრმა დაგვარწმუნა, რომ გამოძიება წინ მიდის და საქმე აუცილებლად დასრულდება. ძალიან კარგია, რომ ეს შეხვედრა შედგა. ჩვენ იმავე აზრზე ვრჩებით, რომ აუცილებელია ძალიან სწრაფი გამოძიება, რადგან ეს ყველაფერი ქვეყნის შიგნით არსებულ მოვლენებზეც მოქმედებს, — განაცხადა პარტია თავისუფალი დემოკრატების წევრმა ირაკლი ჩიქოვანმა.

შეგახსენებთ, რომ ალექსი პეტრიაშვილი საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე რამდენიმე დღის წინ ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს. მას 3 ტყვია აქვს მოხვედრილი — ორი ქვედა კიდურებში, ერთი კი — ზურგის არეში.

**ნიუსპრესი**

# მოსწავლეების მიმართ გარყვნილ ქმედებაში ბრალდებული მასწავლებელი დაკავებულია

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად 1962 წელს დაბადებული გ.კ. არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა იმერეთის ერთ-ერთ სოფელში სამი მოზარდის მიმართ გარყვნილი ქმედება ჩაიდინა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მიმდინარე წლის 27 თებერვალს თბილისში დააკავეს.

გამოძიება გარყვნილი ქმედების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 141-ე მუხლით მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ იმერეთის ერთ-ერთ სოფელში 54 წლის ფიზკულტურის მასწავლებელი სექსუალურ ძალადობას 6, 12 და 14 წლის გოგონებზე ახორციელებდა.

არასრულწლოვნების მშობლების განცხადებით, ეს ამბავი მას შემდეგ გახმაურდა, რაც სკოლის ადმინისტრაციამ პედაგოგის ბავშვების მიმართ დამოკიდებულება საეჭვოდ მიიჩნია. კერძოდ, ფიზკულტურის გაკვეთილის მიმდინარეობის დროს სპორტულ დარბაზში მოსწავლე დაშავდა, მასწავლებელი კი ადგილზე არ აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, ის ერთ-ერთ მოსწავლე გოგონასთან ერთად სხვა ოთახში იყო განმარტოებული.

**ნიუსპრესი**

# ნოდარ ხადური: „გადადგომას არ ვაპირებ“



ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური გავრცელებულ ინფორმაციას შესაძლო სამთავრობო ცვლილებებზე, რომლის მიხედვითაც მის ადგილს ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი დაიკავებს, არ ადასტურებს.

— მინდა აღვნიშნო, რომ მე თანამდებობაზე ვარ და მუშაობას ვაგრძელებ. უამრავი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, მარტში შესაძლოა სამთავრობო ცვლილებები განხორციელდეს. არაოფიციალური ცნობით, თანამდებობის დატოვება მოუწევს, მათ შორის, ნოდარ ხადურსაც, რომლის შემცვლელადაც ეკონომიკის მინისტრი, ვიცეპრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი მოიაზრება.

**ნიუსპრესი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ლეხ ვალენსა სასამართლოში ჩივილს აპირებს



პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა და ნობელის პრემიის ლაურეატმა ლეხ ვალენსამ ცილისწამება უწოდა დოკუმენტებს, რომლებიც მის შესახებ ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა.

ამ დოკუმენტების თანახმად, ვალენსა ჯერ კიდევ 1972 წლიდან პოლონეთის უშიშროების აგენტი იყო და ატარებდა მეტსახელს ბოლეკი.

— მე ვიცი, ვინ და რატომ დაამზადა ეს ნაყალბევი, — თქვა ვალენსამ.

პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მალე მის ხელთ იქნება კონკრეტული დამამტკიცებელი საბუთები, რაც დაადასტურებს, რომ ინსტიტუტის მიერ გავრცელებული მასალები სიყალბეა.

— აი, მაშინ სასამართლოში ვიჩივლებ და პროცესსაც მოვიგებ, — განაცხადა ვალენსამ.

# პოროშენკო: „ვადამდელი არჩევნები არ იქნება“



უკრაინის პრეზიდემტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში რუსეთის აგრესიის მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი. მზადდება პროვოკაციები დონბასში, ასევე უკრაინის სხვა ქალაქებში, განსაკუთრებით სამრეწველო ცენტრებში.

— ასეთ ვითარებაში ვადამდელი არჩევნების ჩატარება დამღუპველია, ამას არ დავუშვებთ! — თქვა უკრაინის პრეზიდენტმა.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, პარლამენტის შემდგომი მუშაობა როგორ გესახებათ, როცა მმართველი კოალიცია დაიშალაო, პოროშენკომ მიუგო, რომ შეიქმნება ახალი კოალიცია.

შეკითხვას, რამდენად ეფექტური იქნება ეს კოალიცია, პრეზიდენტმა ასეთი პასუხი გასცა:

— ყველას ვურჩევ, ამ პარლამენტთან მუშაობა ისწავლოს. არავითარი ვადამდელი არჩევნები არ იქნება!

# მოსკოვში ოთხი წლის ბავშვს თავი მოჰკვეთეს



მოსკოვის მეტროსადგურ „ოქტიაბრსკოე პოლეში“ მილიციამ უცნობი ქალი დააკავა. მას ხელში პატარა ბავშვის გასისხლიანებულ თავი ეკავა.

ქალი მთელი ხმით გაჰკიოდა:

— მე ტერორისტი ვარ და ყველას დაგხოცავთ!

მასთან მიახლოებას კარგა ხანი ვერავინ ბედავდა. გამოიძახეს სპეცრაზმი, რომელმაც ქალი დააკავა.

მას ასაფეთქებელი ნივთიერება არ აღმოაჩნდა.

დაკავებული მილიციის რაიგანყოფილებაში წაიყვანეს. ის უზბეკეთის მოქალაქე გიულჩეხა ბობოკულოვა აღმოჩნდა და დაკავების მომენტში ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბობოკულოვა ერთ-ერთ მოსკოვურ ოჯახში ძიძად მუშაობდა.

მისი მუშაობით კმაყოფილნი იყვნენ, თუმცა უკანასკნელი დღეების განმავლობაში ბობოკულოვა აშკარად აღგზნებული იყო. როგორც შემდგომში გაირკვა, მან ნარკოტიკების მიღება დაიწყო.

სწორედ ნარკოტიკების ზემოქმედებით ჩაიდინა მან ამაზრზენი დანაშაული — ოთხი წლის გოგონას, რომელსაც უვლიდა, თავი მოკვეთა, შემდეგ კი ბინას ცეცხლი წაუკიდა.

ბავშვის გასისხლიანებული თავმოკვეთილი გვამი ბინაში იპოვეს.

# გაეროში რუსეთს უკრაინიდან ჯარის გაყვანა მოსთხოვეს

გაჭიანურებული ომი დონბასში მთელი დემოკრატიული მსოფლიოს შეშფოთებას იწვევს. უკრაინაში შექმნილი ვითარება გაეროში მორიგი მსჯელობის საგანი გახდა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა განაცხადა, რომ რუსულმა აგრესიამ ევროპაში მდგომარეობა მკვეთრად გაართულა.

— ომის ქარცეცხლი ევროპის გულს უახლოვდება, — თქვა შტაინმაიერმა.

— ჯერჯერობით უკრაინა რუსეთთან საზღვრის დონბასის მონაკვეთს ვერ აკონტროლებს! ამის გამო რუსეთიდან თავისუფლად შემოდიან მებრძოლები, შემოედინება იარაღი. სანამ უკრაინა საზღვარზე კონტროლს არ დაამყარებს, არჩევნები ვერ ჩატარდება!

რუსეთის წარმომადგენელი ჩურკინი ამ სიტყვებმა გააღიზიანა.

მან განაცხადა, რომ კიევში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, იარაღის ძალით დაამხეს კანონიერი პრეზიდენტი იანუკოვიჩი. შემდგომი ტრაგიკული მოვლენებიც ამან გამოიწვია. რაც შეეხება ყირიმს, ჩურკინმა კატეგორიულად უარყო, რომ რუსეთმა ნახევარკუნძულის ოკუპაცია-ანექსია განახორციელა:

— ყირიმის მოსახლეობას რუსეთთან შეერთება სურს. ეს რეფერენდუმმა ცალსახად დაადასტურა! — თქვა ჩურკინმა.



გერმანული დიპლომატიის მეთაურმა მოუწოდა რუსეთს, დაუყოვნებლივ გაიყვანოს დონბასიდან ჯარები და შექმნას ნორმალური პირობები თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

რუსეთის აგრესია დაგმეს ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ევროპული ქვეყნების წარმომადგენლებმა, უკრაინის ელჩმა გაეროში ელჩენკომ კი განაცხადა:

# შეტაკებები კალეში




საფრანგეთის ადმინისტრაციულმა სასამართლომ გამოიტანა დადგენილება კალეს ლტოლვილთა ბანაკის აღების თაობაზე.

ოფიციალური მონაცემებით, ამ ბანაკის ტერიტორიაზე 1.000 ადამიანი ცხოვრობდა, არაოფიციალური მონაცემებით — 3.400. კალეს ბანაკს ჯუნგლებსაც უწოდებდნენ, რომელიც გადაიქცა სახელმწიფოდ სახელმწიფოში.

საფრანგეთის იურისდიქცია მასზე არ ვრცელდებოდა. აქ ჰქონდათ საკუთარი კანონები, ფუნქციონირებდნენ მაღაზიები, სკოლები. კალეს ბანაკის ტერიტორიაზე შეიძლებოდა ნარკოტიკების იაფად შოვნა. ბანაკის წევრები ეწეოდნენ რეკეტს, ძარცვავდნენ მახლობელი ქუჩების მცხოვრებლებს, იყო გაუპატიურების არაერთი შემთხვევა.

სასამართლოს გადაწყვეტილებას ბანაკის ბინადარნი არ დაემორჩილნენ. მაშინ პოლიციამ კარვები ძალით აიღო. მოხდა შეტაკება. ბანაკის ბინადრებმა პოლიციელებს ქვები და ბოთლები დაუშინეს. პოლიციამ ცრემლმდენი გაზი გამოიყენა.

დაშავებულნი ორივე მხარეს არიან.

რამდენიმე ხულიგანი პოლიციამ დააკავა. ბანაკის მცხოვრებლები სპეციალურ თავშესაფარში გადაიყვანეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ამერიკელ სტუდენტებს ენერგეტიკული სასმელების მიღება აუკრძალეს



ამერიკის ვერმუტის შტატის სასწავლო დაწესებულებებში მიმდინარე წლის 7 მარტიდან სტუდენტებს ენერგეტიკული სასმელების მოხმარება აეკრძალებათ. განათლების სფეროს მუშაკებმა პირდაპირი კავშირი შენიშნეს გაზიან ენერგეტიკულ სასმელსა და სტუდენტების უწესრიგო სქესობრივ ცხოვრებას შორის.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სტუდენტების დიდი უმრავლესობა ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა, ვინაიდან ენერგეტიკული სასმელი მათ უფრო მეტი ინფორმაციის ათვისებაში ეხმარებოდა საკონტროლო სამუშაოებისა და გამოცდებისთვის მზადების პერიოდში.

— უკეთესი იქნებოდა თუ ისინი უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით იქნებიან დაკავებულები, — აღნიშნა მეოთხე კურსის სტუდენტმა არნავ აჯიხაკარიმ.

2014 წელს ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევით დადგინდა, რომ ენერგეტიკული სასმელის მოხმარება მნიშვნელოვნად ზრდის დაუცველი სქესობრივი კავშირის დამყარების ალბათობას ახალგაზრდებს შორის, ხოლო ალკოჰოლურ სასმელთან ერთად მოხმარების შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტად იზრდება შემთხვევითი სქესობრივი კავშირის დამყარების ალბათობა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ნორვეგიულ ოჯახში ყველა 29 თებერვალსაა დაბადებული

ახლახან გავრცელდა ინფორმაცია ნორვეგიულ ოჯახზე, რომელშიც ყველა 29 თებერვალსაა დაბადებული. საუბარია ქალაქ ანდენესის სამ მცხოვრებზე. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰაიდი, ოლაფ და ლეიფ-მარტინ ჰენრიკსენები ერთსა და იმავე დღეს, მხოლოდ სხვადასხვა წელს არიან დაბადებულები.

ჰაიდი 1960 წლის 29 თებერვალს დაიბადა, ოლაფი 1964 წლის 29 თებერვალს, ხოლო ლეიფ-მარტინი 1968 წლის 29 თებერვალს. მიიჩნევენ, რომ მათი დედა კარინი ერთადერთი ქალია, რომელმაც სამჯერ იმშობიარა 29 თებერვალს. 1980 წელს ის გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს.

აღსანიშნავია, რომ ყოველ ოთხ წელიწადში მსოფლიოს მას მედია მკითხველებს ამ ნორვეგიულ ოჯახზე მოუთხრობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**განცხადებები**

**მკურნალობა**

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი — კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი — ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ — ჩიყვი (კვანძოვანკისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ — ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ — მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ — წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# რეკორდსმენ ბარსელონაში ყველა ერთნაირია

უკვე ზედიზედ 34-ე თამაშია, ბარსელონა არავის დაუმარცხებია და ამ მაჩვენებლით მან სამეფო კლუბის რეკორდი გაიმეორა.

ამგვარი სტატისტიკა მადრიდის რეალმა 1988-89 წლების სეზონში დააფიქსირა. რეკორდის დასამხობად საჭიროა, ლა ლიგის მორიგ ტურში, რომელიც 3 მარტს გაიმართება, ლუის ენრიკეს გუნდმა რაიო ვალეკანოს წინააღმდეგ არ წააგოს.

ბარსელონა ბოლოს გასული წლის 3 ოქტომბერს სევილიასთან სტუმრად, „სანჩეს პისხუანზე“, ანგარიშით 1:2 დამარცხდა. მისი შეწყვეტა ბოლო ტურში სევილიასვე შეეძლო, მაგრამ ბარსელონამ იმავე ანგარიშით დაამარცხა ანდალუსიელები.



სწორედ ასეთი რეკორდული ბარსელონის წევრები არიან თავმდაბალნი, რასაც აღნიშნავს კიდეც კატალონიური კლუბის 26 წლის მარცხენა მცველი ხორდი ალბა, რომელიც კრიშტიანუ რონალდუს მიერ გაკეთებულ კომენტარს გამოეხმაურა.

მოგეხსენებათ, ესპანეთის ჩემპიონატის გასულ ტურში, მადრიდულ დერბიში განცდილი მარცხის შემდეგ პორტუგალიელმა ვარსკვლავმა განაცხადა, რომ თუ რეალის შემადგენლობაში ყველა მისი დონის იქნებოდა, მაშინ ისინი პირველ ადგილს დაიკავებდნენ. მოგვიანებით, კრიშტიანუმ განმარტა, რომ მან თანაგუნდელების არა სათამაშო დონე, არამედ ფუნქციური მდგომარეობა იგულისხმა.

ხორდი ალბა:

– რონალდუს სიტყვები ჩემთვის გაუგებარია. ბარსელონაზე შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ შეკრული გუნდი გვყავს, სადაც საკუთარ თავს სხვებზე მაღლა არავინ აყენებს. თავდასხმის ხაზში გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ, მაგრამ თითოეული მათგანი გუნდში თავს ისე გრძნობს, როგორც ყველა. სხვა გუნდებზე ვერ ვისაუბრებ.

# საქართველოს 17 წლამდე საფეხბურთო ნაკრებმა სომხეთი დაამარცხა

საქართველოს 17 წლამდე საფეხბურთო ნაკრებმა სომხეთის 18 წლამდე გუნდი 4:1 დაამარცხა.

არადა, ვასილ მაისურაძის გუნდი პირველ ტაიმში 0:1 დამარცხდა. გოლი პეტროსიანმა მე-8 წუთზე გაიტანა.

პირველივე ტაიმში ანგარიშის გათანაბრების შანსი სპანდერაშვილს ორჯერ ჰქონდა, თუმცა ერთ შემთხვევაში მეკარემ აჯობა, მეორედ კი საქართველოს ნაკრების ფორვარდმა კარს ააცილა.

მეორე ტაიმში მაისურაძემ რამდენიმე ფეხბურთელი შეცვალა და აქცენტი შეტევაზე გააკეთა, რამაც შედეგი გამოიღო და მეორე ტაიმმა უკვე ჩვენი გუნდის უპირატესობით ჩაიარა.

ანგარიში 43-ე წუთზე ხარაბაძემ გაათანაბრა, ხოლო 47-ე წუთზე ჩაკვეტაძემ ზუსტად დაარტყა პენალტი და საქართველოს ნაკრები დააწინაურა.

56-ე წუთზე ხარაბაძემ დუბლი შეასრულა. მატჩის საბოლოო ანგარიში კი შეცვლაზე შესულმა დავითაშვილმა 73-ე წუთზე დააფიქსირა.

## საზოგადოება

# თებერვალში საქართველოს 360.402 ვიზიტორი ესტუმრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, გასული თვის მდგომარეობით, სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს.

მონაცემების თანახმად, 2016 წლის თებერვლის თვე 360.402 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2015 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 23,9%-ით მეტია.

**ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:**

**ა)** ტურისტი – 120.215 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 33,4%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 19%);

**ბ)** ტრანზიტი – 58.456 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 16,2%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 1,4%);

**გ)** სხვა – 181.731 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 50,4%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 37,4%).

რაც შეეხება იანვარ-თებერვლის ინტერვალს, ქვეყანაში 683.561 ვიზიტი განხორციელდა, რაც 13,9%-ით მეტია 2015 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე.

2016 წლის თებერვალშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ აზერბაიჯანიდან (+41,9%), თურქეთიდან (+12,2%), სომხეთიდან (+7,5%), რუსეთიდან (+29,2%) და უკრაინიდან (+23,5%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-თებერვალში გამოირჩნენ იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი და გერმანია (შესაბამისად, 29%, 29%, 14%, 11% და 7%), შუა აზიის ქვეყნებიდან – ყაზახეთი (22%) და უზბეკეთი (44%). აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან – ბელორუსია (26%) და მოლდოვა (31%), ახლო აღმოსავლეთიდან – ისრაელი (24%), ხოლო აზიის ქვეყნებიდან – არაბთა გაერთიანებული საემიროები 480%-იანი მატებით. აქვე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 13%-იანი ზრდა.

**ნიუსპრესი**

# გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი დასრულდა

მიმდინარე წლის 1-ლი მარტიდან, ნადირობის სეზონის დასრულების გამო, გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა იკრძალება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, აკრძალულ პერიოდში ნადირობა ითვალისწინებს საჯარიმო სანქციებს 500-700 ლარის ოდენობით.

იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული ნანადირევით გარემოს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა, შესაძლოა პირის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.



**ნიუსპრესი**

# მანჩინი და ინტერი ერთმანეთს ზაფხულში დაემშვიდობებიან



მილანის ინტერის მწვრთნელი რობერტო მანჩინი და პრეზიდენტი ერიკ ტოჰირი ერთმანეთს სასაუბროდ შეხვდნენ, სადაც სეზონის დასრულების შემდეგ კონტრაქტის გაწყვეტაზე შეთანხმდნენ.

კონტრაქტის გაწყვეტის მიზეზი ორივე მხარეს ჰქონდა: ინტერმა მიმდინარე სეზონი კარგად დაიწყო და ჩემპიონატის სტარტზე კარგა ხანი ლიდერობდა. შემდეგ კი მილანელებმა პოზიციები დაკარგეს და, შესაძლოა, უეფას ევროპა ლიგის საგზური გარეშეც კი დარჩნენ.

თავის მხრივ, კლუბის ხელმძღვანელობა ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში მანჩინისთვის შემადგენლობის სერიოზულად გასაძლიერებლად თანხის გამოყოფას არ აპირებს, რაც მწვრთნელს არ აწყობს, რადგან ახალი ფეხბურთელების გარეშე წარმატების მიღწევა გაუჭირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მანჩინი, რომელიც ცოტა ხნის წინ იტალიური ფეხბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს, ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ანტონიო კონტეს იტალიის ეროვნული გუნდიდან წასვლის შემდეგ აძურის გაწვრთნის ერთ-ერთი კანდიდატია.

# რეალი ცხელი ზაფხულის მოლოდინშია

მადრიდის რეალის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა სკაუტებს, თანამებრძოლებსა და მთავარ მწვრთნელს უკვე გააცნო, რომ ივნისი, ივლისი და აგვისტო ძალიან „ცხელი“ გამოდგება.

რეალი უკვე მუშაობს სუპერფეხბურთელების დამატებაზე.

ესპანური მედიის ინფორმაციით, პერესი ძალიან დიდ თანხას დახარჯავს. პირველად 300 მილიონი ევრო გამოიყოფა, მაგრამ, თუ პრეზიდენტს შემადგენლობა მაინც არ მოეწონება, ის გამოყოფილ თანხას ნახევარ მილიარდამდე გაზრდის.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ედენ აზარი, რობერტ ლევანდოვსკი, პოლ პოგბა, დავიდ ალაბა – ეს ფეხბურთელები „ბლანკოსში“ გადასვლის უპირველესი კანდიდატები არიან, თუმცა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მადრიდელთა შემადგენლობაში მესუთ იოზილის დაბრუნების დიდი შანსი არსებობს.

ნახევარი მილიარდი დიდი თანხაა, მაგრამ რეალს მისი მოძიებაც არ უნდა გაუჭირდეს. მარკა გვამცნობს, რომ ხამეს როდრიგესი და ისკო ალარკონი ზაფხულში ტრანსფერზე იქნებიან დაყენებულნი – რეალმა ეს გადაწყვეტილება დიდი ფიქრის შემდეგ მიიღო.

ექსპერტებთან, ანალიტიკოსებთან, სამწვრთნელო ჯგუფთან და სხვა პირებთან კონსულტაციების შედეგად, დადგინდა, რომ ეს ფეხბურთელები საკუთარ მოვალეობებს პირნათლად ვერ ასრულებენ, აქედან გამომდინარე, რეალს სჭირდება ფეხბურთელი, რომელსაც კარგად უჭირავს ბურთი, მოედანს შესანიშნავად ხედავს, აკეთებს სწორ ნაბიჯებს და რაც მთავარია, პროდუქტიულია უკანა ხაზშიც.

ბლანკოსს ისკოსა და ხამესის სანაცვლოდ 120-130 მილიონი ევროს გამომუშავება სურს.



# რუმინელებმა შესაძლოა ამხანაგურები საქართველოში ჩაატარონ

რუმინეთის საფეხბურთო ნაკრებს მიმდინარე წლის მარტში 2 ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი ლატვიასთან და ესპანეთთან. ამ ფაქტის მოყვანა იმიტომ დაგვჭირდა, რომ შესაძლოა ქართველმა გულშემატკივრებმა კიდევ ერთხელ იხილოს ცოცხლად ესპანეთის ნაკრები. საქმე ის არის, რომ რუმინეთის ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების მიერ ამხანაგური მატჩების გამართვის ერთ-ერთ ადგილად საქართველოს განიხილავს.



როგორც ირკვევა, რუმინეთის სახანძრო სამსახურმა ბუქარესტის ეროვნულ სტადიონზე, რომელიც 2011 წელს აშენდა და 55.000 გულშემატკივარი ეტევა, მატჩების ჩატარება აკრძალა. მეხანძრეების განმარტებით, არენა უსაფრთხოების ნორმებს არ აკმაყოფილებს, რადგან მისი კონსტრუქციის ნაწილი არასერტიფიცირებული მასალისგანაა გაკეთებული.

რაც შეეხება ქვეყნის სხვა სტადიონებს, ისინი მარტის ბოლოს ნაკრების მატჩების ჩასატარებლად არ გამოდგება. აქედან გამომდინარე, რუმინეთის ფეხბურთის ფედერაცია საკითხის მოსაგვარებლად ბუქარესტისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის ჩარევას ითხოვს.

პარალელურად ფედერაციის ხელმძღვანელები ლიტვასთან და ესპანეთთან სპარინგების მათივე ქვეყნებში ან კიდევ ნეიტრალურ ტერიტორიაზე, კერძოდ კი საქართველოში გამართვის საკითხს განიხილავენ.

შეგახსენებთ, რომ რუმინეთის ნაკრები ივნისში საქართველოსაც შეხვდება და ეს მატჩი 3 ივნისს ბუქარესტში გაიმართება. როგორც ვარაუდობენ, ამ დროისთვის სტადიონი უკვე სრულ მზადყოფნაში იქნება.

# ლაუდრუპი ბარსელონას ერიქსენს ურჩევს

ყოფილი დანიელი ფეხბურთელი მიქაელ ლაუდრუპი ბარსელონის ხელმძღვანელობას ურჩევს, თავის ახალგაზრდა თანამემამულე კრისტიან ერიქსენს ყურადღება მიაქციოს.

ლაუდრუპი მიიჩნევს, რომ ერიქსენი, რომელიც ამჟამად ლონდონის ტოტენჰემის ღირსებას იცავს, საკმარისად ნიჭიერი მოთამაშეა იმისათვის, რათა ბარსელონაში თამაში შეძლოს.

**მიქაელ ლაუდრუპი:**

– მინდორზე კრისტიანი ბრწყინვალედ ხედავს სივრცეს და გოლის ალღო აქვს. შეიძლება, ის მსოფლიოს უსწრაფესი ფეხბურთელი არ არის, მაგრამ ძალიან სწრაფად ფიქრის უნარი გააჩნია. ეს მას სხვებისგან განასხვავებს. ერიქსენი ერთ-ერთი იმ მოთამაშეთაგანია, რომლებიც დღევანდელ ბარსელონას შეესაბამებიან. შეიძლება ითქვას, რომ მომდევნო სეზონში ის კატალონიელთათვის იდეალური იქნება, რადგან უკეთესად პროგრესირდება.



ინგლისის პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში 24 წლის ნახევარმცველის ანგარიშზე 24 მატჩში 5 გოლი და 8 საგოლე პასია.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**29 თებერვალი**

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი. ჩემპიონშიპი** | |
| ბრაიტონი-ლიდსი | 4:0 |
| **იტალია. სერია ა** | |
| ლაციო-სასუოლო | 0:2 |
| ფიორენტინა-ნაპოლი | 1:1 |
| **იტალია. სერია ბ** | |
| კალიარი-ნოვარა | 0:1 |
| **საფრანგეთი. მე-2 ლიგა** | |
| ლანსი-ევიანი | 1:0 |
| **პორტუგალია. პრიმეირა ლიგა** | |
| ბენფიკა-მადეირა | 2:0 |
| გიმარაეში-სპორტინგი | 0:0 |
| **საბერძნეთი. სუპერლიგა** | |
| ატრომიტოსი-ირაკლისი | 1:0 |
| **თურქეთი. სუპერლიგა** | |
| ფენერბახჩე-ბეშიქთაში | 2:0 |
| **დანია. სუპერლიგა** | |
| მიდტიულანდი-ოლბორგი | 1:1 |
| **შვედეთი. თასი** | |
| ჰამარბი-ლიუნგსკილე | 4:2 |

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ მოვიქცეთ ყურის ანთების დროს

**ოტიტი ყურის ანთებაა. არსებობს გარეთა, შუა და შიგნითა ყურის ანთება. არსებობს გარეთა ოტიტის ორი ფორმა – შემოსაზღვრული და დიფუზური.**

შემოსაზღვრული გარეთა ოტიტი წარმოიქმნება ინფექციის შეღწევისას (ხშირად სტაფილოკოკის) გარეთა სასმენი მილის ფიბროზულ-ხრტილოვანი ნაწილის თმის ფოლიკულებში და ცხიმის ჯირკვლებში, რასაც ხელს უწყობს მცირედი ტრავმები. გარეთა სასმენი მილის ფურუნკულები ხშირია შაქრიანი დიაბეტით, პოდაგრით, ჰიპოვიტამინოზით დაავადებულ პირებში.

ზოგჯერ პროცესი ვრცელდება ყურის ირგვლივ ქსოვილებზეც. დიფუზური გარეთა ოტიტი ვითარდება უპირატესად ქრონიკული ჩირქოვანი შუა ოტიტის დროს, სასმენი მილის კანში და კანქვეშა ქსოვილში სხვადასხვა ბაქტერიების, ასევე სოკოების შეღწევისას. ანთებითი პროცესი ზოგჯერ ვრცელდება დაფის აპკზეც.

გარეთა ოტიტი ვლინდება ტკივილით ყურში, რომელიც ძლიერდება წინასახურზე დაჭერისას. პირის გაღების დროს მტკივნეულობა აღინიშნება ფურუნკულის წინა კედელზე ლოკალიზაციის დროს.

მწვავე დიფუზური გარეთა ოტიტის დროს ავადმყოფები უჩივიან ქავილსა და ტკივილს ყურში, უსიამოვნო სუნის ჩირქოვან გამონადენს. დიაგნოზის დაზუსტება ხდება ოტოსკოპიით; სმენა არ ზიანდება.

გარეთა სასმენ მილში 70%-იან სპირტში დასველებული დოლბანდის ჩადება, თბილი კომპრესი, ფიზიოთერაპიული პროცედურები, ვიტამინოთერაპია.



მწვავე შუა ოტიტი ვითარდება ცხვირის ან ცხვირ-ხახის ლორწოვანი გარსის მწვავე ან ქრონიკული ანთების დროს ინფექციის შეღწევისას შუა ყურში (მწვავე რინიტი, გრიპი და სხვ.) განასხვავებენ კატარულ და ჩირქოვან ფორმებს.

სასმენი მილის ვენტილაციური ფუნქციის დარღვევას ხელს უწყობს ვენური შეგუბება დაფის ღრუს ლორწოვან გარსში და ტრანსუდატის წარმოქმნა.

სეროზულ ანთებას იწვევს სუსტად ვირულენტური ინფექცია. ახალშობილებში ოტიტი წარმოიქმნება სანაყოფე წყლების მოხვედრით შუა ყურში. დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე სასმენი მილის ანატომიურ აგებულებას.

განასხვავებენ მწვავე შუა ოტიტის სამ სტადიას: I სტადია – ანთებითი პროცესის, ექსუდატის წარმოქმნა; II სტადია – დაფის აპკის გახვრეტა და ჩირქდენა (მწვავე ჩირქოვანი ოტიტი); III სტადია – ანთებითი პროცესის ჩაცხრომა, ჩირქდენის შემცირება და შეწყვეტა; გახვრეტილი დაფის აპკის კიდეების შეხორცება. დაავადება გრძელდება რამდენიმე დღიდან რამდენიმე კვირამდე.

დაავადების მიმდინარეობა დამოკიდებულია ანთებითი პროცესის სტადიაზე. პირველ სტადიაში ვლინდება ძლიერი ტკივილი ყურში, რომელიც ირადირებს თავის შესაბამის ნახევარში, კბილებში; სხეულის ტემპერატურა მომატებულია (38-39$^0$C), სმენა მნიშვნელოვნად დაქვეითებულია.

ოტოსკოპიით ჩანს გაფართოებული სისხლძარღვები, შემდეგ კი დაფის აპკის ჰიპერემია. ამ სტადიის ბოლოს ხდება დაფის აპკის გამობერვა; სისხლში – ლეიკოციტოზი, ედს-ის მომატება. მეორე სტადიაში იწყება ჩირქდენა დაფის აპკის გახვრეტის შედეგად, ტკივილი კლებულობს, თუმცა შესაძლოა განახლდეს ჩირქის გამოდენის შეფერხებისას.

ჩირქდენის შეწყვეტის შემდეგ ჩივილები შესაძლოა იყოს სმენის დაქვეითება. შუა ყურის მწვავე ანთების კლინიკური სურათი ახალშობილებში და ჩვილ ბავშვებში რამდენადმე განსხვავებულია.

მწვავე ოტიტები ჩვილებში ხშირად შეუმჩნევლად მიმდინარეობს ჩირქდენამდე. გამოხატული ოტიტის დროს ბავშვი იღვიძებს ღამით, მოუსვენრადაა, ყვირის, ატრიალებს თავს, უხახუნებს მტკივან ყურს ბალიშზე, ხელი მიაქვს ყურისაკენ, აღარ წოვს. ჩვეულებრივ აღინიშნება რინოფარინგიტი. ზოგჯერ შუა ოტიტი შერწყმულია მენინგეალურ სიმპტომკომპლექსთან.

მწვავე შუა ოტიტის დროს აუცილებელია წოლითი რეჟიმი, ჩვენების მიხედვით ანტიბიოტიკები, სულფანილამიდები, ანტისეპტიკები.

მაღალი ტემპერატურის დროს აცეტილსალიცილის მჟავა. ადგილობრივად იყენებენ კომპრესებს, ფიზიოთერპიას;

ყურში ტკივილის შესამცირებლად აწვეთებენ თბილ 96%-იან სპირტს ან სპეციალურ წვეთებს. ჩირქდენისას ჩაწვეთებას წყვეტენ. კონსერვატიული მკურნალობის არაეფექტურობის შემთხვევაში მიმართავენ დაფის აპკის პარაცენტეზს.

ქრონიკული ჩირქოვანი შუა ოტიტი მიმდინარეობს ყურიდან ხანგრძლივი ჩირქდენითა და სმენის დაქვეითებით; დაფის აპკის გახრეტილი არე შენარჩუნებულია. დაავადება ვითარდება მწვავე ჩირქოვანი ანთების შედეგად, რასაც ხელს უწყობს მიკრობთა მაღალი ვირულენტობა, ორგანიზმის რეაქტიულობის დაქვეითება, ცხვირსა და ცხვირ-ხახაში ქორონიკული პათოლოგიური პროცესი, არარაციონალური მკურნალობა.

# თუ ყურში მწერი შეფრინდა, შეგიძლიათ ზეთი ან არაყი ჩაისხათ

ოტოლარინგოლოგები ირწმუნებიან, რომ ყურის პრობლემათა უმეტესობის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, ადამიანები სხეულის ამ მნიშვნელოვან ნაწილს რომ უვლიდნენ, თვითმკურნალობას არ მიმართავდნენ და სასმენ აპარატს ზედმეტად არ ტვირთავდნენ. გაგაცნობთ გავრცელებულ სიტუაციებს, როცა საკუთარ სმენას ზიანს თავად ვაყენებთ.

სტატისტიკის მიხედვით, გოგირდით სასმენი მილის დაცობა სმენის უმტკივნეულო დაკარგვის ყველაზე გავრცელებული მიზეზია. ჩვენს ყურებს დამოუკიდებლად გაწმენდა შეუძლია, ამიტომ ამ სამუშაოს ბუნების მაგივრად ნუ შეასრულებთ.

სასმენი მილის კანში განთავსებულია გოგირდის ჯირკვლები. ისინი სპეციალურ სეკრეტს გამოყოფენ, რაც გარედან შემოჭრილ ინფექციებს განვითარების საშუალებას არ აძლევს. საუბრისა და ღეჭვის დროს სასმენი ხვრელის კედლები ირხევა. ამის შედეგად კანის ბუსუსები სეკრეტს გარეთ აძევებენ. ბუსუსებს რომ არ ავნოთ, ყური ბამბიანი ჩხირით აკურატულად, ფრთხილად, მხოლოდ ყურის ხვრელის ირგვლივ გაიწმინდეთ და არავითარ შემთხვევაში – შიგნით!

გოგირდის საცობის მოცილება სწრაფი და უმტკივნეულო პროცედურაა.

• • •

შემთხვევით ყურში მოხვედრილი რაიმე საგნის ამოღებას ნებისმიერი საშუალებით ცდილობენ – იყენებენ არამხოლოდ თითებს, ასევე პინცეტს, ჩხირებს, ქინძისთავს, კბილის საჩიჩქნს და სხვა. ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება! თუ ყურში უცხო სხეული მოხვდება, ყველაფერი ისე დატოვეთ, როგორც არის და სასწრაფოდ ექიმს მიაშურეთ. თუ ყურში გზააბნეული მწერი შეფრინდა, შეგიძლიათ ზეთი ან არაყი ჩაისხათ და ის სითხესთან ერთად თვითონვე გამოვა. თუ ჩარჩება, სირბილით ექიმთან!

ძლიერი ხმაური სმენისთვის მეტად საშიშია. მეტისმეტად ხმამაღალი ბგერები შიგა ყურში არსებულ მიკროსკოპულ სენსორულ რეცეპტორებს (ისინი იქ 15-დან 20 ათასამდეა) აზიანებს. სამწუხაროდ, ეს შეუქცევადი პროცესია. დაზიანებული რეცეპტორები ტვინს ბგერით ინფორმაციებს მეტად ველარ გადასცემენ. ხმაურის დონე დეციბელობით იზომება. 90 დეციბელის დროს სმენა უარესდება, ხოლო 140 დეციბელის შემთხვევაში შესაძლებელია აკუსტიკური ტრავმა და სმენის დაკარგვაც.



მელომანები არც კი ეჭვობენ, საკუთარ სმენას რამდენად დიდ ზიანს აყენებენ. სმენას სასმენებიც ვნებს, განსაკუთრებით პატარები, რომლებიც უცხო ფონური ხმაურისგან ყურს სუსტად იცავენ. ამის გამო მელომანები მუსიკას ხმას უწევენ, რაც ხმაურის დონეს დამატებით ზრდის.

ასევე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სხვისი სასმენების გამოყენება. მისი საშუალებით შეიძლება სოკოვანი პარაზიტებით გამოწვეული ზოგიერთი ინფექციური დაავადება გადაეცეს. ამას შედეგად ყურში ქავილი, ყურების დაგუბება, სმენის დაქვეითება მოჰყვება.

მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სასმენები შეიძლება სასარგებლოც იყოს, მხოლოდ – როგორც ხმაურისგან დამცავი. ეს მოწყობილობა ელექტროხერხის, შედუღების აპარატისა და სხვა იარაღების მუშაობისას მაურისგან ყურებს საიმედოდ იცავს.

• • •

ყველაზე უწყინარი პროცედურა – ყურების გახვრეტა – უსაფრთხო სულაც არ არის, თუ მას არაპროფესიონალი ატარებს. როგორც ცნობილია, ყურის ნიჟარაზე განლაგებულია ასზე მეტი ბიოლოგიურად აქტიური წერტილი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სხეულის სხვადასხვა ორგანოსა და ნაწილზე, განსაკუთრებით თვალზე, ცხვირსა და ყელზე. ამიტომ არასპეციალისტთან ყურის გახვრეტა რისკია, შესაძლებელია საჭირო ადგილას არ მოხვდეს და ქრონიკული თავის ტკივილი, სურდო ან ტონზილიტი შეიძინოთ.

სმენის დაქვეითებას ზოგიერთი წამალიც იწვევს. ასპირინის, ანტიბიოტიკების, ზოგიერთი შარდმდენი და გულის პრეპარატების დიდ დოზას შეუძლია გვერდითი ეფექტები მოგვცეს. საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში სმენის დაკარგვა დროებითია. სმენის გაუარესების თუნდაც უმნიშვნელო სიმპტომები გაჩნდება, ამ წამალზე უარი თქვით და ექიმ-სპეციალიტს მიმართეთ.

მახვილი სმენის კიდევ ერთი მტერია ნიკოტინი. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ხანდაზმულობის ასაკში თამბაქოს მოწევა შეიძლება სმენის ნაწილობრივი დაკარგვის მიზეზი გახდეს. გარდა ამისა, უფროსების ეს მავნე ჩვევა ბავშვებისთვისაც საშიშია. ცნობილია, რომ ყურის ინფექციები უფრო გავრცელებულია პატარებში, რომელთა ოჯახის წევრები ეწევიან.

არსებობს ერთი შეხედვით თითქოს სრულიად უვნებელი ჩვევა. მაგალითად, ზოგიერთი ადამიანი დაცემინების დროს ცხვირზე ხელს იჭერს. დაცემინების დროს ბაქტერიების დიდი რაოდენობის შემცველი ლორწო ცხირიდან გამოდის და თუ სახის ამ ნაწილს დაახშობთ, მაშინ ყველა მიკრობი შუა ყურის ხვრელში მოხვდება, რამაც შეიძლება გართულება გამოიწვიოს.

# ასტროპროგნოზი
## 2 მარტისათვის



**ვერძი** – იმედგაცრუება გელით როგორც კარიერაში, ისე პირად ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში. ნურავის მიენდობით, შესაძლოა მოგატყუონ. **კურო** – დაიცავით კვების რეჟიმი. დაისვენეთ აქტიურად. შესაძლოა მეგობრებთან და ნათესავებთან მცირე პრობლემა შეგექმნათ, რომელიც სწრაფად მოგვარდება. **ტყუპები** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. სამსახურში მოულოდნელი დაბრკოლება შეგხვდებათ. თუ შესაძლებლობა გექნებათ, განმარტოვდით და დაფიქრდით, სად დაუშვით შეცდომა. **კირჩხიბი** – ახალი ნაცნობობა, მათ შორის საქმიანიც, საინტერესო და სასარგებლო იქნება. დღეს ბუნების წიაღში დასვენება თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ იმოქმედებს. **ლომი** – ემოციურად დაძაბული დღეა. იმედგაცრუება გელით სამსახურშიც და პირად ურთიერთობებშიც. **ქალწული** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელად პრობლემები იჩენს თავს. ღირსების შესანარჩუნებლად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **სასწორი** – კარგი პერიოდია აქტიური დასვენებისათვის, ფიზიკური დატვირთვისა და სხეულის გაჯანსაღებისთვის. შემთხვევით გაცნობილ ადამიანს არ ენდოთ. **ღრიანკალი** – ახალი ნაცნობობა, მათ შორის საქმიანიც, საინტერესო და სასარგებლო იქნება. დღეს ბუნების წიაღში დასვენება თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ იმოქმედებს. **მშვილდოსანი** – ავანტიურისტებისგან თავი შორს დაიჭირეთ. ნუ იქნებით აგრესიული. მკვეთრ გამოთქმებს ერიდეთ. **თხის რქა** – საკუთარ ნაკლოვანებებს კრიტიკულად მიუდექით. პარტნიორის მიმართ ზედმეტად მომთხოვნი ნუ იქნებით. საჩოთირო სიტუაციიდან თავს იოლად დაიძვრენთ. **მერწყული** – საქმე უამრავი გაქვთ, რამაც შესაძლოა სულიერი წონასწორობა დაგირღვიოთ. თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოთქმებისაგან. **თევზები** – კარგი იქნება, თუ დავიწყებულ კავშირებს აღადგენთ. ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. **გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მუნჯი კინოს კომიკოსი; 2. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ბალახოვანი სამკურნალო მცენარე; 3. მაღალი ხარისხის ქვანახშირი; 4. მათემატიკური ორწევრი; 5. ფულის ერთეული უკრაინაში; 9. მწერი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში; 10. ელექტროწინაღობის საზომი ხელსაწყო; 14. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. ელექტრონული მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 16. მშვიდობის სიმბოლოდ მიჩნეული ფრინველი; 19. ბეთჰოვენის ოპერა; 20. მდინარე პრაღაში; 21. ინდოელი მოჭადრაკე მამაკაცი, დიდოსტატი.

**თარაზულად**: 6. ქიზიყის ძველი სახელწოდება; 7. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 8. ბრაზილიის ნაკრებისა და „ბარსელონა"-ს ფეხბურთელი; 11. ამერიკელი მრეწველი, საძინებელი სარკინიგზო ვაგონის გამომგონებელი; 12. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 17. მათემატიკის ნაწილი; 18. ჩაის დეგუსტატორი; 22. ნახევარკუნძული აშშ-ში; 23. საავტომობილო საბურავების ერთ-ერთი გამომგონებელი, ბრიტანელი მექანიკოსი; 24. ორი სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე პირი; 25. პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბარცინო; 2. ეთიკა; 3. მალთაყვა; 4. დიუპონი; 5. შერმადინი; 9. ამქარი; 12. ხერსონი; 14. არებჯი; 15. ნომი; 17. სეიკო; 18. ორლი.

**თარაზულად:** 6. დავითი; 7. გაბრიაძე; 8. აცტეკა; 10. გორდა; 11. ნოქალაქევი; 13. გარდნერი; 16. ხერესი; 19. რიტორიკა; 20. მირზაანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მოცარტი; 2. სტიმული; 3. წინანდალი; 4. პლანკი; 5. იშხანი; 9. ჰიმნი; 10. აზიმოვი; 14. კალათბურთი; 15. შინჰოფერი; 16. მაკაბი; 19. პედანტი; 20. ბასტრი; 21. მოპედი.

**თარაზულად:** 6. კონსტიტუცია; 7. ოჯალეში; 8. ჰამამი; 11. გირკანი; 12. ბლუზი; 17. დინოზავრი; 18. ამაშუკელი; 22. თალმუდი; 23. ბაობაბი; 24. სტიუარდი; 25. სიბარიტი.

# პაატა ბურჭულაძე: „ვიდრე ქვეყანაში მურუსიძე მოსამართლე იქნება, არაფერი გვეშველება“



– ვიდრე საქართველოში არ იქნება სამართლიანი სასამართლო, ვიდრე ქვეყანაში მურუსიძე მოსამართლე იქნება, არაფერი გვეშველება, – განუცხადა „საქართველოს განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელმა პაატა ბურჭულაძემ გაზეთ „კვირის პალიტრას“.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, რას მიიჩნევს ამ ხელისუფლების ყველაზე დიდ ხარვეზად, ბურჭულაძე პასუხობს – სამართალს.

– ვიდრე საქართველოში არ იქნება სამართლიანი სასამართლო, ვიდრე ქვეყანაში მურუსიძე მოსამართლე იქნება, არაფერი გვეშველება. დღევანდელმა ხელისუფლებამ წინას უსამართლობის მთელი პასუხისმგებლობა გადმოიბარა მას შემდეგ, რაც მურუსიძე შემოისვა მხრებზე და დაატარებს აქეთ-იქით, – განაცხადა ბურჭულაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# გოგა პიპინაშვილის სტუდიის პრობლემა ისევ გადაუჭრელია



კინომსახიობთა თეატრის მსახიობის გოგა პიპინაშვილის მიერ 20 წლის წინ დაარსებული საყმაწვილო სტუდია „ართ ჰოლი“ კვლავ შენობის პრობლემის წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სამინისტრომ პირობა დადო, „ართ ჰოლზე“ ვიზრუნებთო, მათი მდგომარეობა ოდნავაც არ გაუმჯობესებულა.

გოგა პიპინაშვილი სამსახიობო ხელოვნებას ორი ათეული წელია მოზარდებს ასწავლის და ამ პერიოდში მან უკვე 15.000 ბავშვის აღზრდა მოასწრო. იყო პერიოდი, როცა გოგა პიპინაშვილი ამ პრობლემაზე ხმამაღლა საუბრობდა, ახლა კი მიაჩნია, რომ მისი მთავარი მისიაა საქმე აკეთოს და თუკი შენობას მისცემენ, სადაც „ართ ჰოლი“ საბოლოოდ დაბინავდება, ის მხოლოდ მადლობელი დარჩება.

სამაგიეროდ, გაჩუმებას არ აპირებს მისი მეგობარი, რეჟისორი თამაზ ორაშვილი, რომელიც კულტურის სამინისტროს, სამთავრობო სტრუქტურებს, პარლამენტის კულტურისა და მეცნიერების კომიტეტს ღიად მიმართავს და მოუწოდებს გოგა პიპინაშვილის სტუდიას, შენობის პრობლემა მოუგვარონ.

**თამაზ ორაშვილი:**

– კულტურის სამინისტროს... ყველა სამთავრობო სტრუქტურებს... პარლამენტის კულტურისა და მეცნიერების კომიტეტს და ჩვენი ქვეყნის ჟურნალისტებს... რატომ არ აძლევთ ამ კაცს საშუალებას, რომ მაქსიმალურად დაახარჯოს თავისი ცოდნა შემდეგ თაობებს....

რამდენჯერ უნდა შეიცვალოს ამ 20 წლის განმავლობაში მთავრობა, რომ დაინახოთ, რა ენერგიას ხარჯავს ჩვენი შვილების აღზრდაში?....

ამ 20 წლის მანძილზე, დაახლოებით 15.000 ბავშვმა გაიარა მის ხელში... ბევრმა უკვე მიაღწია წარმატებას... მაგრამ ვინც ვერ მიაღწია, ისინი ჩვენი ქვეყნის ახალი თაობის ჯანსაღი ნაწილი გახდა...

# სამგლოვიარო განცხადებები

ჩვენს სანათესავოსა და სამეგობროს უდიდესი გულისტკივილი და მწუხარება დაგვიტოვა უგულკეთილესმა ადამიანმა, პატიოსნებითა და სიწმინდით გამორჩეულმა ოქრო გულის კაცმა და თავისი მოწამეობრივი ცხოვრება მარადისობის საუფლოში გადასვლით დაასრულა. დიახ,

**ნოდარ ილიკოს ძე კილანავამ**



იქ ირჩია ყოფნა, სადაც საყვარელი შვილი კახა, მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი ძმა ბეჟანი და მშობლები ეგულებოდა. გვწყინს მისგან, მაგრამ არ გაემტყუნება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უწმინდესი სული, ამინ!

**ნოდარ ზარანდია, რაჟდენ ქარდავა**

და ლია, ნათესავები მედეა, გიორგი, სალომე ზარდალიშვილები, ბიძაშვილი გიორგი მანელაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვლადიმერ ზარდალიშვილი**

პანაშვიდი: 2 მარტს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 3 მარტს, 14 საათზე.
მისამართი: ს.ცინცაძის (ყოფილი საბურთალოს ქუჩა) №5, IV სადარბაზო, VI სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# თემურ ჩხეიძის რჩევები წიგნის კითხვის შესაყვარებლად



რეჟისორი თემურ ჩხეიძე საზოგადოებას წიგნის შეყვარებისა და მეტი ნაწარმოებების კითხვისკენ მოუწოდებს. რეჟისორი, რომელიც თავისი სპექტაკლებით გამოირჩევა და ინდივიდუალური ხელწერა აქვს, ახალ თაობას რამდენიმე ნაწარმოებს სთავაზობს, რომელთა წაკითხვაც, მისი აზრით, აუცილებელია.

**თემურ ჩხეიძე:**

– ნამდვილად არ მახსოვს, რომელი იყო პირველი წიგნი, რომელიც წავიკითხე. ერთი, რაც მახსოვს ისაა, რომ არავინ არ მაძალებდა კითხვას. ჩემ გარშემო ყველა კითხულობდა და ხომ იცით, ბავშვი უფროსებს ბაძავს და ამიტომ მეც ინსტინქტურად დავიწყე კითხვა.

ყველა ჩემ გარშემო, ჩემთვის შეუმჩნევლად, ხელს უწყობდა ამ პროცესს. ეს იქნებოდა ბაბუაჩემი, ორივე ბებია თუ მამიდაჩემი, რომელიც ლიტერატორი იყო და სწორედ მან გამიჩინა ენის სისუფთავისადმი ლტოლვა, როგორ უნდა მეხმარა სწორად სიტყვა და ტაქტიანად ცდილობდა სიტყვის ფასი მცოდნოდა. დღეს თავის ჩამოხრჩობა მინდა, ისეთი ქართული მესმის ყველა კუთხიდან. მგონია, რომ თვითლიკვიდაციისკენ ერთ-ერთი გზაა ენის ასეთ დღეში ჩაგდება.

***– ქართულ ლიტერატურას უფრო ხშირად კითხულობდით თუ უცხოურს?***

– ქართული ლიტერატურის მიმართ ძალიან ყურადღებიანი ვიყავი და ბევრი ისეთი წიგნი მაქვს ადრეულ ასაკში წაკითხული, რომლის წაკითხვაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში აკრძალულიც იყო, მათ შორის, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება.

***– რომელია ის წიგნები, რომლებმაც თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა?***

– სახარება, ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი“, თეოდორ დოსტოევსკის შემოქმედება, ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატი“, ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება, მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებები.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ავტორებისა და ნაწარმოებებისა, შემიძლია გავიხსენო კონსტანტინე გამსახურდია, რომლის მთელი სიმდიდრე ძალიან გვიან გავიგე და შევიმეცნე. საერთოდ კითხვა ახდენდა ჩემზე ძალიან დიდ გავლენას. მე დღემდე რამდენიმე წიგნს ერთად ვკითხულობ, ასეთი ჩვევა მაქვს.

ბოლოს სიამოვნებით აკა მორჩილაძის „ჩრდილი გზაზე“ და „ქართულის რვეულები“ წავიკითხე. რიგი თავები კი რამდენიმეჯერაც გადავიკითხე.

***– კითხულობენ თუ არა დღეს წიგნებს?***

– ამის თქმა ნამდვილად რთულია. ჩემი შვილიშვილები თითქოს კითხულობენ, არ ვიცი. ჩემი სტუდენტები, მე მგონი, კითხულობენ. ბევრი ისეთი საინტერესო რამ მოაქვთ ჩემთან, მაცნობენ ისეთ რამეებს, რაც მე გამომეპარა, რომ ე.ი. რაღაც შეხება აქვთ წიგნებთან.

# რამაზ ჩხიკვაძეს 88 წელი შეუსრულდებოდა



ქართული თეატრისა და კინოს მსახიობს რამაზ ჩხიკვაძეს 88 წელი შეუსრულდებოდა. მსახიობის იუბილე მისმა კოლეგებმა ალექსანდრე რეხვიაშვილის დოკუმენტური ფილმის პრემიერით აღნიშნეს, რომელიც მთლიანად რამაზ ჩხიკვაძეს ეძღვნება.

არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი მსახიობი ყოველთვის სიყვარულით აღნიშნავდა, რომ მთავარი მისთვის მაყურებლის სიყვარულია, რომელსაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გრძნობდა.

რამაზ ჩხიკვაძის და რობერტ სტურუას ტანდემი ქართული თეატრის ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისად არის აღიარებული. მსახიობის მიერ განსახიერებული მეფე ლირი, ყვარყვარე, აზდაკი, რიჩარდი, განუმეორებელია, თუმცა ხელოვანის სავიზიტო ბარათად მაინც „კავკასიური ცარცის წრე“ და მის მიერ შესრულებული აზდაკია მიჩნეული.

რობერტ სტურუას შემდეგ „კავკასიური ცარცის წრე“ ავთო ვარსიმაშვილმაც დადგა თავისუფალ თეატრში, რასაც საზოგადოების მხრიდან დიდი აჟიოტაჟი მოყვა. ამ ფაქტის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია თავად რამაზ ჩხიკვაძეს:

– რამაზ ჩხიკვაძე ის მსახიობი იყო, რომელსაც დაუფიქრებლად უწოდებ გენიალურს. ბედნიერი ვარ, რომ მან ჩემს სპექტაკლშიც ითამაშა და რომ თავის უმცროს მეგობრად მთვლიდა. ხშირად ვურთიერთობდით, ვურეკავდით ერთმანეთს, დაბადების დღის გადახდა არ უყვარდა, მხოლოდ ვიწრო წრეში აღნიშნავდა და ბედნიერი ვარ, რომ იმ ვიწრო წრეში მეც მომიაზრებდა ხოლმე.

როდესაც თავისუფალ თეატრში „კავკასიური ცარცის წრის“ დადგმა გადავწყვიტე, დავურეკე. გაუხარდა: უნდა დადგა, აბა რა უნდა ქნა, ბრეხტმა ანდერძში კი არ დაიბარა, მარტო რობიკომ უნდა დადგას და რამაზმა ითამაშასო, ნურავის ნუ აქცევ ყურადღებას, მაგათ ოღონდ ბრძნული აზრები აფრქვევინე, დადგი, ნიკო კარგი აზდაკი იქნება მჯერა, მაგარი ბიჭი გყავს, მეც აუცილებლად მოვალ პრემიერაზე, გურამსაც მოვიყვან და ჯემალსაცო.

გურამი და ჯემალი მოვიდნენ პრემიერაზე, თვითონ კი ვერა, პრალაში იყო, უკვე ავადმყოფობდა. 8 წელია „კავკასიური ცარცის წრე“ თავისუფალი თეატრის რეპერტუარში სრული ანშლაგით გადის. მის დაბადების დღეზეც ვითამაშეთ ეს სპექტაკლი და გენიალური რამაზ ჩხიკვაძის ხსოვნას მივუძღვენით, – განაცხადა ავთანდილ ვარსიმაშვილმა.

# ქართველი მოდელები მილანის მოდის კვირეულზე გამოვიდნენ



იტალიამ მილანის მოდის კვირეულს უმასპინძლა. მსოფლიოში ცნობილმა დიზაინერებმა მოდის კრიტიკოსებს და მოყვარულებს შემოდგომა-ზამთარი 2016-ის კოლექციები გააცნეს.

ცნობილ და ახალბედა მოდელებთან ერთად, მილანის მოდის კვირეულზე ორი ქართველი მოდელი გამოვიდა. 15 წლის ანი სულაბერიძემ ჯილ სანდერის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა. ანის დებიუტი მილანში იანვარში მამაკაცის კოლექციების მოდის კვირეულზე შედგა. ამჯერად კი მისი დებიუტი ქალების პრეტ-ა-პორტერ მოდის კვირეულზე იტალიაში გაიმართა. ანი სულაბერიძე გახდა პირველი ქართველი მოდელი, რომელმაც მაღალი მოდის ბრენდთან ექსკლუზიური კონტრაქტი გააფორმა.

მილანის მოდის კვირეულში მიიღო მონაწილეობა მეორე ქართველმა მოდელმაც, 17 წლის ანა შელიამ და ანტონიო მარას კოლექცია წარმოადგინა.

ქართველი მოდელები მილანში ლია პავლოვასთან, მარჯან ჯოკმენთან, ლინესი მონტეროსთან, კატლინ ასთან, ლექსი ბოულინგთან და სხვა ტოპ მოდელებთან ერთად წარდგნენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

**ოთხშაბათი 2 მარტი**

**07.00** "მოამბე" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.30** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** სოციალური თოქ-შოუ **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **22.55** "ეპოქის ფრაგმენტი" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**მოტყუებული**" (კ.ისტვუდი) **03.00** "პირადი ექიმი"

**08.00, 10.10, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**ეჭვქვეშ**" (ჯ.ჰეკმენი) **02.40** მხ/ფ "**მელიებზე მონადირე**"(ჩ.ტატუმი) **04.45** მხ/ფ "**თავშესაფარი**" (ჯ.რ.მეიერსი)

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** ნანუკას შოუ **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS

**8.30, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **9.00** Discovery- ფილმების მეცნიერება **10.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **11.00, 22.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ცენტრი**" **15.30** Discovery- ფილმების მეცნიერება **16.30** აირჩიე კაბა **17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **20.00** ცოლები და ქმრები **20.30 20.30 22.30** მხ/ფ "**ყოველთვის თქვი "დიახ**" **0.20** **ID Extra** - სასჯელს თითქმის გავექეცი **1.20, 3.00** URBAN STORIES **2.05** ჯიდიპედია

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.05** დ/ფ "ტაო-კლარჯეთი" III ნაწ. **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **11.15** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **11.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ვარდი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** კონცერტი **17.00** დ/ფ "ლაშა-გიორგი" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**სათნოებათა კიბე**" **20.40** ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ივერიის ეკლესია **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00**"კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30**დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.00** სერ. "**კარმელიტა 18.00**"კონტაქტი ექვსზე" **19.05, 02.30** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00**"კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**" **21.30**თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


2 მარტისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4713

ევრო — 2.6957

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4232

100 რუსული რუბლი — 3.2507

**ამინდის პროგნოზი 2 მარტისთვის**






კალეიდოსკოპი

## ჯოლი და კლუნი ყველაზე ლამაზად ბერდებიან



ახლახან გამოქვეყნდა იმ სახელოვანი ადამიანების სია, რომლებიც ყველაზე ლამაზად ბერდებიან. აღსანიშნავია, რომ მასში მოხვდნენ ის ვარსკვლავები, რომლებიც ასაკის მატებასთან ერთად, სულ უფრო უკეთ გამოიყურებიან – ღვინოსავით.

კერძოდ, რეიტინგში მოხვდნენ 40 წლის ანჯელინა ჯოლი და 54 წლის ჯორჯ კლუნი, ასევე 46 წლის ჯენიფერ ლოპესი, 73 წლის ჰარისონ ფორდი და 40 წლის შარლიზ ტერონი.

გარდა ამისა, სიაში ასევე შევიდნენ 70 წლის ჰელენ მირენი, 43 წლის იდრის ელბა, 49 წლის ჰელი ბერი და 44 წლის ჯადა პინკეტ სმიტი.

რეიტინგის შემდგენლებს ყურადღებიდან არ გამორჩენიათ ისეთი ცნობილი სახეები, როგორებიც არიან 49 წლის სელმა ჰაიეკი, 43 წლის სოფია ვარგარი, 44 წლის ჯონ ჰემი.

ჩამონათვალში ასევე შევიდნენ 43 წლის დუეინ ჯონსონი, 53 წლის სტივ კარელი, 47 წლის ჰიუ ჯეკმენი, 50 წლის ჯოან როულინგი, 52 წლის მიშელ ობამა, 81 წლის მეგი სმიტი და 78 წლის ჯეინ ფონდა.

## აეროპორტის მცველი ძაღლი ინსტაგრამის ვარსკვლავი გახდა



ამერიკის მიჩიგანის აეროპორტის მცველი მეცხვარის ბორდერ-კოლის ჯიშის ძაღლი ინსტაგრამის ვარსკვლავად იქცა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაცია ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ ძაღლი სახელად პაიპერი ასაფრენ-დასაფრენი ზოლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის სისუფთავეზე აგებს პასუხს. საუბარია აეროპორტის საპასუხისმგებლო უბნებიდან ფრინველებისა და ცხოველების განდევნაზე.

– პაიპერი ჯერჯერობით ახალგაზრდა სპეციალისტია, ის მუდმივად სწავლის პროცესშია და უკან არასოდეს იხევს, ის თოვლიან ქარბუქსაც კი არ უშინდება, – წერია კომენტარში, რომელიც ძაღლის ერთ-ერთ ფოტოსურათს აქვს გაკეთებული.

ოფიციალურად ძაღლი მიჩიგანის აეროპორტის ველური ბუნების კონტროლის სამმართველოში ირიცხება, ხოლო მისი პატრონი აეროპორტის ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

## ბრიტანელმა 130 ათასი ფუნტი პლასტიკურ ოპერაციებში დახარჯა

დიდი ბრიტანეთის უესტ-იორკშირის საგრაფოში მცხოვრებმა ქალბატონმა 130 ათასი ფუნტი სტერლინგი (180 ათასი დოლარი) დახარჯა პლასტიკურ ოპერაციებზე, რათა საბოლოოდ საკუთარ შარჟს დამსგავსებოდა.

სილამაზის სალონის თანამშრომელ კრისტინა ბატელს 15 წელი დასჭირდა იმისთვის, რათა ქირურგების დახმარებით საკუთარ კარიკატურას დამსგავსებოდა, რომელიც ესპანეთის კუნძულ იბიცაზე ქუჩის მხატვარმა დახატა. სადაც ის ისვენებდა 15 წლის ასაკში.

ბატელის თქმით, მან საკუთარ კარიკატურაში მაშინვე შენიშნა იდეალური გარეგნობა და პორტრეტის სილამაზის შეშურდა კიდეც.

– როგორც იქნა მივხვდი, თუ როგორი მსურდა, რომ ვყოფილიყავი. თითქოს მხატვარმა დამინახა ისეთი, როგორიც შეიძლება რომ ვყოფილიყავი, თუ შევეცდებოდი ასეთად გახდომას, – განაცხადა ბატელმა, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ჯერ ზუსტი მსგავსებისთვის არ მიუღწევია და ამიტომ საკუთარ ტრანსფორმირებას გააგრძელებს.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# 1 მარტიდან

**გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად**

# დონალდ ტრამპი

## იფიქრე ჩემპიონივით




დონალდ ტრამპის სახელი უკავშირდება უზარმაზარი იმპერიის შექმნას უძრავი ქონების სფეროში, ბრენდისა, რომელიც ოქროს სტანდარტის სინონიმად იქცა.

ამჟამად ის აშშ-ის პრეზიდენტის პოსტისთვის იბრძვის და ყოველდღე შოკში აგდებს მსოფლიოს რადიკალური ქცევითა და განცხადებებით.

დონალდ ტრამპს წლების განმავლობაში დაწერილი აქვს ბესტსელერად ქცეული წიგნები, რომლებშიც გადმოცემულია მისი სისხლსავსე ცხოვრება.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

# 4 მარტიდან

**გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად**




# გაბრიელ გარსია მარკესი

## ერთი ტყვეობის ამბავი

რომანი 1990-იანი წლებში ნარკოდაჯგუფების მიერ კოლუმბიელი ჟურნალისტი ქალის, მარუხა პაჩონის გატაცების რეალურ ამბავზეა დაფუძნებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## მანოლო იერო საბურთალოში მუშაობას შეუდგა

თბილისში ჩამოვიდა და საბურთალოს სპორტული დირექტორის თანამდებობაზე საქმიანობას შეუდგა 54 წლის მანოლო იერო.

იეროს დაქვემდებარებაში საბურთალოს ყველა ასაკობრივი გუნდი იქნება.

ესპანელი სპეციალისტი გაეცნო კლუბის მთავარ მწვრთნელ გიორგი ჭიაბრიშვილსა და აკადემიის დირექტორს გიორგი დეკანოსიძეს. ისაუბრეს უახლოეს გეგმებზე და ერთმანეთს აზრები გაუზიარეს. იერო პირველი გუნდის ვარჯიშსაც დაესწრო.



**მანოლო იერო:**

– მწვრთნელები დიდ ყურადღებას აქცევენ დისციპლინას, რაც აუცილებელია. უახლოეს დღეებში გავეცნობი სკოლის მწვრთნელებს, ასევე ეტაპობრივად მოხდება მოზარდი ფეხბურთელების მშობლებთანაც შეხვედრა. ვიცი, რომ ლოკომოტივში ესპანელი სპეციალისტი მუშაობს, ასევე საქართველოში თამაშობდა ჩისკო. როგორც მაქვს ინფორმაცია, ახლა მიკელ ალვარო კიდევ ერთხელ დაუბრუნდა თბილისს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**



## იუმორი

ციმბირში უკიდურეს ჩრდილოეთში მყოფმა ქართველმა დედის წერილი მიიღო. დედა ეკითხება:

– სად ხარ და როგორ ხარ?

– სად ვარ და გახსოვს, ბავშვობაში რომ მწყევლიდი, შენ არ დაგილამდესო? აი, სწორედ იქ ვარ!

●●●

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება:

– სვანეთში 3დ ფორმატში ფილმის ჩვენება მაყურებლებსა და ფილმის პერსონაჟთა შორის ჩხუბში გადაიზარდა.

●●●

რაიონის სკოლაში გერმანული ენის გაკვეთილზე მასწავლებელი ერთ-ერთ მოსწავლეს ეკითხება:

– რაფრა იქნება წიგნი გერმანულად?

– ბუხ! – პასუხობს მოსწავლე.

– ორი წიგნი?

– ბუხ, ბუხ!

– სამი წიგნი?

– ბუხ, ბუხ, ბუხ!

ამ დროს ბოლო მერხიდან მოსწავლე ეუბნება მასწავლებელს:

– მასწავლებელო, ბიბლიოთეკა არ კითხო, თვარა აგვაფეთქებს აი შეჩვენებული.

●●●

კამათი პენსიის რიგში:

– აქ ვიდექი, მარა წავედი და მოვედი...

– რას ქვია წახვედი და მოხვედი? აქ ცოცხალი რიგია, ცოცხალი...

– აბა, მკვდარი ვარ ახლა მე???

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– რას გააკეთებ თუ დამინახავ, რომ სხვა ქალს ვკოცნი?

– რას და როგორც ერთგულ ცოლს შეეფერება, ისე მოვიქცევი... ტრავმატოლოგიურში მოგინახულებ...

●●●

გზაზე ბებო ზის და მზესუმზირას ყიდის. უცბად მის წინ მაგარი შავი ფერის ჯიპი გაჩერდა, ფანჯარა ჩაიწია და საჭესთან მჯდომი გოგონა ირონიულად ეკითხება:

– ბები, ვისკი გაქვს?

– კი, ნენა!

– რომელი ვისკი გაქვს?

– შენ რომელი გინდა, ნენა?

– ჩივას რიგალი გაქვს?

– მაქვს, ნენა.

– ჯეკ დენიელსი?

– ეგეც მაქვს, ნენა.

– მეკაიფები, ბებო?

– მე დევიწყე, ნენა?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. „ვეფხისტყაოსნი“-ს პერსონაჟი; 2. ბაღჩეული კულტურა, გრძელყელიანი გოგრა; 3. ფილატელისტის ალბომი; 4. თერმოდინამიკის ფუძემდებელი ინგლისელი ფიზიკოსი; 5. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 9. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 12. ქართული ჩაი; 14. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური სამხრეთ კორეაში; 15. შაქრის ლერწმის არაყი; 17. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი უკრაინელი ატამანი; 18. მატყლისგან ძაფის დასართავი უმარტივესი ხელსაწყო.

**თარაზულად**: 6. ნაკეთობის შესამკობად გადაკრული ოქროს თხელი ფენა; 7. აზრის არაპირდაპირი ხერხებით, იგავურად გამოხატვა ლიტერატურისა და სახვით ხელოვნებაში; 8. ფულის ერთეული ერაყში; 10. სევანის ტბის ძველი სახელწოდება; 11. ატლანტიკის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 13. საცხენოსნო სარბიელი; 16. ლიტერატურული თამაში – იუმორისტული ლექსების შეთხზვა, წინასწარ მოცემული რითმებით; 19. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 20. ჟანგბადის ნაკლებობა სისხლში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

